ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

შაბათი, 5 მაისი, 1990 წ.
№ 49 (11535)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ჟურნალისტიკის დღე — როდის აღვნიშნოთ იგი?

**მსოფლიოში ასობით პროფესიაა. ჩვენს ქვეყანაში თითქმის ყველას დღეს ვდღესასწაულობთ. — რა გვედღესასწაულებაო, — იკითხეს სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე და განახევრდა საზეიმო დღეთა რიცხვი. ამ თვალსაზრისით ქართული პრესის მუშაკებს დასაკარგავი არა გვქონდა რა: ჩვენთვის, და არა მარტო ჩვენთვის — ყველა საბჭოთა კოლეგისთვის — რუსული „პრავდის" პირველი ნომრის გამოსვლის თარიღი — დღევანდელი დღე — ითვლებოდა ყველაზე მნიშვნელოვნად.**

**არადა, ქართული ჟურნალისტიკის 170-წლიანი ისტორიიდან შეიძლება დასახელება თარიღებისა, რომელთაც ყოველთვის ექნება ჩვენთვის რაღაც სიმბოლურის, ამაღლებულის მნიშვნელობა. თუნდაც ილიას „ივერია" მამულის აღორძინებისათვის ბრძოლის სინონიმი არ არის ჩვენთვის? განა არ შეგვახსენებს ქართული პრესის ყველაზე საუკეთესო ტრადიციებს?**

**პროფესიული დღე, ალბათ, არ არის დღე მხოლოდ საზეიმო განწყობილებისა. მაინც როგორი წარმოუდგენიათ იგი? რომელი დღე მიაჩნიათ ქართული ჟურნალისტიკისათვის ყველაზე სიმბოლურად? ამ შეკითხვებით მივმართეთ ჩვენს უფროს კოლეგებს.**

**ნოდარ ტაბიძე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:**

დღესასწაული სულის ზეიმია. და თუ სული დატყვევებულია, მაშინ ამაღლებაც გამორიცხულია. არადა თავს გვახვევდნენ ათასგვარ „დღეებს", ათასგვარ „საპატიო წოდებებს". ჩვენც — ზოგი ყალბი ღიმილით, ზოგიც ბრმა დაჯერებით ვაფრიალებდით დროშებს. (დამეთანხმებით, სამხედრო დიქტატურას ძალუძს საზოგადოების დიდი ნაწილის ფსიქოლოგიური გარდაქმნა).

ჩვენ გვინდა ჭეშმარიტი საფიცარი გვქონდეს.

ჩვენ გვინდა ეროვნულ ნიადაგზე ვიდგეთ.

ჩვენ გვინდა წარსულის გათვალისწინებით ვაშენოთ მომავალი.

5 მაისი თუ 21 მარტი?

5 მაისი გაზეთ „პრავდის" დაარსების დღეა, 21 მარტი — საქართველოს გაზეთისა.

„საქართველოს გაზეთით" საფუძველი ჩაეყარა არა მხოლოდ სამამულო, არამედ კავკასიურ პრესასაც.

ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ რევოლუციამდელი ქართული ჟურნალისტიკით. იგი ასრულებდა არა მხოლოდ თავის უშუალო ამოცანას, არამედ გარკვეულწილად სახელმწიფო სათათბიროსას, კულტურის სამინისტროსას, უნივერსიტეტისას... ამითაც განსხვავდებოდა უზარმაზარი იმპერიების პრესისაგან.

გასული საუკუნის თითქმის ყველა დიდი ქართული გაზეთი თუ ჟურნალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანო იყო.

ამიტომაც ნება მიბოძეთ, ჩემს ღმერთს ავუნთო სანთელი.

●

**ელიზბარ ჯაველიძე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი:**

პრესის დღის გაუქმება დიდად მეწყინა-მეთქი რომ გითხრათ, არ ვიქნები გულწრფელი. ჯერ ერთი, არ ვარ თავგადაკლული მომხრე ე. წ. პროფესიული დღეების დაწესებისა, რადგანაც ამგვარი დღესასწაულები, თუ კი საერთოდ შეიძლება ვუწოდოთ დღესასწაული, პროფესიულობის თვალსაზრისით, არაფრის მომცემია. და როგორც ყველა მოვლენა ჩვენს ქვეყანაში, ისინიც სიცრუის, სიყალბისა და მოჩვენებითობის შესანიშნავი დემონსტრირებაა; მეორეც, ცენტრში რომ არ გაეუქმებინათ ეს თარიღი, ჩვენ თავადვე უნდა უარგვეყო იგი თუნდაც იმიტომ, რომ 5 მაისი იყო გაზეთ „პრავდის" პირველი ნომრის გამოსვლის დღე, რასაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიასთან არავითარი კავშირი არა აქვს და, ამდენად, ქართველი ერისათვის არაფრისმთქმელია. აქვე იმასაც დავძენ, რომ დროა უკვე კრემლში დაწესებულ სხვა საკავშირო დღესასწაულებსაც კრიტიკული თვალით გადავხედოთ და შესაბამისი დასკვნებიც გამოვიტანოთ. ზაფხულისა და ზამთრის დროის შემოღების არ იყოს, ყოველივე ბრმად და მექანიკურად გადმოგვქონდა და გადმოგვაქვს კიდეც. ამ ცენტრისადმი ყურმოჭრილ მონობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა ბოლო მოეღოს.

საერთოდ, საქართველოს ჟურნალისტებს მეტი პატივი და ყურადღება ეგების. ვფიქრობ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ჟურნალისტები, რომელნიც საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, ყველაზე უფრო დაუცველნი არიან მავანისა და მავანის მსახვრალი ხელისგან. ამიტომაც ურიგო არ იქნება, თუკი რომელიმე დღეს შევიკრიბებით, ჩვენი გულის სატკივარს ერთმანეთს გავუზიარებთ და ერთს საჭირბოროტო პრობლემებზე ვიბაასებთ. შესაძლოა, ამ დღეს ქართული პრესის დღეც ვუწოდოთ და თუ გვსურს ასეთი დღის დაწესება, მაშინ უპრიანია ამ დღედ 21 მარტი გამოვაცხადოთ, როცა 1819 წელს პირველი ქართული გაზეთი გამოვიდა და ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაც დაიწყო. ეს თვალსაზრისი, ვგონებ, პრესის ფურცლებზე უკვე გამოითქვა, რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს, რომ ეს იდეა მოსაწონი უნდა იყოს ქართველი საზოგადოებისათვის.

●

**ნარგიზა მგელაძე, გაზეთ „თბილისის" რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი:**

იმდენად მომკვეთა კბილი ამ ყურით მოთრეულმა მრავალთ უმრავლესმა დღესასწაულებმა და ზეიმებმა, მერე კიდევ რედაქციაში ამ „საზეიმო განწყობილებათა" ცხობამ, რომ კალენდარში წითელი ფერის დანახვაზე ლამისაა ალერგია დამემართოს. თუმცა რას გიხსნით, გაზეთში მომუშავე ყველა ჟურნალისტს ექნება მსგავსი განცდა:

წინასადღესასწაულო დღეს სხვაშინ ფუსფუსებს, ინდაურის საცივს აკეთებს, ჩვენ გაზეთზე ვმორიგეობთ. მერე უნდოდეს მაინც ვინმეს ეს „სადღესასწაულო ნომერი!".

პირადად ჩემთვის ყველაზე კარგი დღე მშვიდი სადაგი სამუშაო დღეა. და ჩუმი პატარა ზეიმიც მაშინ მაქვს, როცა ისეთი ნომერი გამომივა, მკითხველის გულს და გონებას გონივრულს, დამაფიქრებელს და სასარგებლოს რასმე მისცემს, ჩვენი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას ცოტათი მაინც წაადგება.

მაგრამ, ალბათ, არ ვიქნები მართალი ჩემი განწყობა სხვას მოვახვიო თავს.

ზეიმი, ალბათ, მაინც საჭიროა, მაგრამ რატომ უნდა ვიზეიმო მე — ქართველმა ჟურნალისტმა — „პრავდის" დაბადება, როცა მრავალი წლით ადრე ილიას სიბრძნითა და სიდარბაისლით აღბეჭდილი „საქართველოს მოამბე" შემეძინა? რაღაც იმას ჰგავს — კაცს მამა დაავიწყდა და მამინაცვალის მზეს ფიცულობდაო. თუ მაინცდამაინც საჭიროა, მე ვარჩევდი ქართული პრესის დღე აღგვენიშნა. არა საბჭოთა, არამედ ქართული პრესის დღე.

— რომელი დღე იყოს? შევთანხმდეთ, ეს ჩვენი შინაური საქმეა.

●

**ვლადიმერ ზოგოლაშვილი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორი:**

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი ამას წინათ გამართულ ყრილობაზე დამოუკიდებელი ორგანიზაცია გახდა. ამიტომ სრულიად სამართლიანი და ლოგიკურია პრესის დღე აღვნიშნოთ არა 5 მაისს, გაზეთ „პრავდის" გამოსვლის დღეს, არამედ მაშინ, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ქართველი ერისა და ქართული ბეჭდვითი სიტყვის ბედი, უფრო სწორად — როცა ქართულმა პრესამ თავისებურად იკისრა ერის გამომღვიძებლისა და გზის გამკვლავის მისია.

ასეთ დღედ შეიძლება ჩაითვალოს ჟურნალ „საქართველოს მოამბის" გამოსვლის თარიღი. სწორედ ამ ჟურნალის მეთაურ წერილში ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძემ ქართული პრესის მიზნები და ამოცანები, ჭეშმარიტი ჟურნალისტი მამულიშვილის მრწამსი..

რაც შეეხება იმას, საერთოდ საჭიროა თუ არა პროფესიული დღესასწაული, გიპასუხებთ. იმ სახით, როგორც აქამდე აღვნიშნავდით ყველა პროფესიულ დღესასწაულს, მათ შორის პრესის დღეს, არავითარ შემთხვევაში არ არის საჭირო.

ქართული პრესის სადღესასწაულო თარიღი კი ასე მესახება: ამ დღეს შეიძლება ვუწოდოთ „გულახდილი საუბრის დღე" ყოველგვარი საზეიმო ცერემონიალის, მოხსენებებისა და საპატიო პრეზიდიუმების გარეშე, თითოეული გაზეთისა თუ ჟურნალის მუშაკები მოვიდნენ მკითხველებთან — შრომით კოლექტივებში, ორგანიზაციებში, მოედნებზე, პარკებში და მოისმინონ პირუთვნელი საუბარი მთელი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ავ-კარგზე.

**საუბრები ჩაიწერა
მაია თუნგიამ**

# ადამიანისათვის ზრუნვით

ვინ ჩამოთვლის პრობლემებს, რომლებიც დღეს აწუხებთ არა მარტო თბილისელებს, არამედ რესპუბლიკის ყველა მცხოვრებსაც. წლების მანძილზე დაგროვილი ეს პრობლემები ახლა განსაკუთრებით მწვავდება საკმაოდ არაერთმნიშვნელოვნად მიმდინარე განახლების პროცესების დროს. შეფერხებებს ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში გრძნობს თითოეული, მაგრამ არ შეიძლება, არ დავინახოთ, არ ვიგრძნოთ ის პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც, მართალია, არც ისე სწრაფად, როგორც ეს გვინდა, მაინც ხდება ჩვენს ცხოვრებაში და გვინერგავენ ოპტიმიზმსა და უკეთესი მომავლის იმედს. განმტკიცებულია ისინი იმ ზრუნვითა და ყურადღებით, რასაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენს ფართო საზოგადოებრიობის ნებასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით ადამიანთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი.

2 მაისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან ნ. მ. ლეკიშვილთან ერთად ეწვია საქართველოს დედაქალაქის ვაჭრობის მთელ რიგ საწარმოებს, სამედიცინო და სკოლამდელ დაწესებულებებს, სადაც ჰქონდა შეხვედრები და საუბრები, დაინტერესდა სიახლეებით მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და აღზრდის სფეროში.

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დედაქალაქის კიროვის რაიონში კოლმეურნეობის მოედანზე მდებარე განახლებულმა ბაზარმა სტუმართმოყვრულად გახსნა კარი პირველი მომხმარებლების წინაშე. რეკონსტრუქციის შემდეგ ქალაქის ერთ-ერთი უძველესი სავაჭრო ცენტრის მეფობა იკისრეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ვაჭრობისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა. იმაზე, თუ როგორ გვარდება აქ მუშაობა, სტუმრებს ესაუბრა ბაზრის დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი, უნივერსიტეტის დოცენტი მურმან ტოგონიძე. კოლმეურნეებთან, მყიდველებთან საუბრების დროს აღიძრა საბაზრო ფასების პრობლემები, რომლებიც ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის უბრალო მშრომელისათვის, დაისვა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

არც ისე დიდი ხნის წინათ დამთავრდა № 1 საბავშვო საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს შენობის რეკონსტრუქცია, რომელიც ჯერ კიდევ საუკუნის დამდეგს ააშენეს თბილისელმა ნეგოციანტებმა ზუბალაშვილებმა. ახლა ქალაქის ცენტრში წყნარ ქუჩაზე მდებარე ამ საავადმყოფოში ყველა პირობაა შექმნილი ბავშვთა სრულფასოვანი მომსახურებისათვის. აქ არა მარტო დაამონტაჟეს უახლესი სამედიცინო მოწყობილობა, არამედ დანერგეს კიდეც მკურნალობის მეტად პროგრესული ფორმები, რის შესახებაც სტუმრებს ესაუბრნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი ლალი გუჯაბიძე და საავადმყოფოს მთავარი ექიმი არჩილ ნაცვლიშვილი. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საავადმყოფოს საოპერაციო, სარეანიმაციო განყოფილებების დათვალიერებამაც, საუბრებმა ავადმყოფ ბავშვებთან და მათ მშობლებთან, სამედიცინო პერსონალთან.

სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ რამდენ საჭიროა ვიჩენდეთ ყოველმხრივ ზრუნვას მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის, გულმოწყალებასა და თანაგრძნობას ნორჩი პაციენტებისადმი, გაგრძელდა თბილისის ჩვილის სახლში. ექიმებთან და აღმზრდელებთან საუბრების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ სახლში მწარე ხვედრის გამო მოხვედრილი ბავშვები უნდა გრძნობდნენ ადამიანურ სითბოსა და ყურადღებას, მათ გულში უნდა ითესებოდეს სიკეთის თესლი, ყველაფერი უნდა კეთდებოდეს, რათა ისინი ღირსეულ ადამიანებად აღვზარდოთ.

იმავე დღეს გ. გ. გუმბარიძე და ნ. მ. ლეკიშვილი ეწვივნენ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე განლაგებულ მთელ რიგ სავაჭრო ობიექტებს, ესაუბრნენ გამყიდველებსა და მყიდველებს, დაინტერესდნენ პრობლემებით, რომლებიც მათ აწუხებთ.

დღის მეორე ნახევარში გ. გ. გუმბარიძე ჩავიდა რუსთავში. გაიმართა შეხვედრები და საუბრები ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარში, მეტალურგიული ქარხნისა და საწარმოო გაერთიანება „აზოტის" საერთო საცხოვრებლებში, ამ გაერთიანების საავადმყოფოში. კერძოდ, აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ბევრი რამ კეთდება ქალაქის ამ მსხვილი საწარმოების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, ისევე, როგორც მთლიანად რუსთაველებისათვის, რათა გაუმჯობესდეს მათი შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობები. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა გადაიჭრას ყველა სოციალური პრობლემა, რომლებიც დღეს ქალაქის მცხოვრებლებს აწუხებთ.

გ. გ. გუმბარიძემ დაათვალიერა რუსთავში მშენებარე ვახტანგ გორგასალის ეკლესია, რომელიც იგება სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში იდგა სამნავიანი ბაზილიკა, იყო თვითმომსახურების უნივერმაღში, დაათვალიერა ქალაქის სხვა სავაჭრო ობიექტები.

მასთან ერთად იყვნენ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ი. ხაზარაძე და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ო. დალაქიშვილი.

საქინფორმი

## ავტორთა საყურადღებოდ!

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.**

# გააჩნია, როგორ ვიცავთ?

**ღია წერილის მაგიერ ოზურგეთის რაიონული გაზეთის „ალიონის" (ყოფილი „ლენინის დროშა", „გურია") რედაქტორს ბატონ თამაზ სალუქვაძეს.**

**სიმართლე** გითხრათ, ვყოყმანობდით ერთხანს — ღირდა კი არაკოლეგიალობის, ელემენტარული ჟურნალისტური ეთიკის დარღვევის ოზურგეთულ მაგალითებზე საჯაროდ მსჯელობა.

გადაწყდა, რომ ღირდა, მეტიც — საჭირო იყო!

საჭირო იყო იმიტომ, რომ ბოლო ხანებში მკითხველთა ხელოვნური დაბნევის ერთი უსიამოვნო ტენდენცია შეინიშნება — როგორც კი რესპუბლიკური გაზეთი (თუნდაც ჩვენი) გააკრიტიკებს ამა თუ იმ რაიონის (ქალაქის) ე. წ. „ელიტას". მყისვე იწყება „დაჩაგრულების" ორგანიზებული რეაბილიტაცია მასობრივი ადგილობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ასე მოხდა ოზურგეთშიც.

თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით:

ჩვენს გაზეთში ამა წლის 17 მარტს სათაურით „შეკითხვა ორაზროვანი პასუხით თუ?"... გამოქვეყნდა ოზურგეთის ჟურნალისტთა პრესკლუბის მიერ მომზადებული წერილი.

გახსოვთ, ალბათ, იგი შეეხებოდა ნასაკირალის აგროკომბინატის დირექტორის ბატონ ნოდარ ტაკიძის, როგორც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის შეხვედრას ამომრჩევლებთან და მის მიერ იქ გაკეთებულ, სამწუხაროდ, ჩვენთვის მოულოდნელ განცხადებას, რომ საბჭოთა არმია სულაც არაა ოკუპანტების არმია და რომ ოკუპანტები თავად ისინი არიან, ვინც მას ამ იარლიყს აწებებსო.

მოკლედ, ბატონმა ნოდარმა, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ მაამებლური პოზიცია დაიკავა და „ქულები ჩაიწერა" თავის ამომრჩეველთა თვალში. მას, ეტყობა, იმ წუთში არ გაახსენდა, რომ საქართველოს ოკუპირება 1921 წელს და ქართველთა დარბევა. გაუგონარი ვანდალიზმი შარშან, 9 აპრილს (თუმცა კაცმა რომ თქვას, ბოლო ტრაგედიიდან დიდი დრო არ იყო გასული და ნეტა რამ დაავიწყა?), სწორედ რომ საბჭოთა არმიის დიდი „დამსახურებით" მოხდა. (ისე თქვენი გაზეთიდან ამას იგი ნამდვილად ვერ შეიტყობდა).

მერე რა, ხდება ხოლმე — ვთქვათ, ყველაფერი ეს დაავიწყდა დეპუტატობის კანდიდატს, მაგრამ თქვენ...

საინტერესოა, ასე ხელჩქარად რატომ გამოექომაგეთ მას. მხედველობაში მაქვს 3 აპრილის პუბლიკაციები და მათი სარედაქციო მინაწერი.

შეიძლება, თქვენ იფიქრეთ, რომ ჩვენ ჰაი-ჰარად, გამოუკვლევად დავბეჭდეთ პრესკლუბელთა წერილი, ან მერე პასუხი არ დავუბეჭდეთ ბატონ ნოდარ ტაკიძეს და ბატონ მამია თენიეშვილს — ნასაკირალის აგროსამრეწველო კომბინატის პროფკომიტეტის თავმჯდომარეს. არა, ბატონო თამაზ, ხატი, რჯული, ასე არ ყოფილა.

მაგრამ ბოლომდე რომ გაერკვეთ, მოგახსენებთ, პრესკლუბელთა წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში ბატონმა ნოდარმა ვიღაცას გამოატანა თავისი ორაზროვანი პასუხი, სადაც ეწერა, რომ ეს იყო აშკარა ცილისწამება, ჩვენ, წესისამებრ, მისგანაც, ისევე როგორც პრესკლუბელებისაგან, მოვითხოვეთ დამამტკიცებელი მასალები, მაგრამ რაც არ იყო — საიდან?

მოკლედ, ამის შემდეგ ოთხ-ხუთ დღეში თქვენ საკმაოდ ვრცლად გამოექომაგეთ დაჩაგრულ დეპუტატობის კანდიდატს.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — რატომ? ვის ვქომაგობთ და როგორ?

თქვენ ეტყობა, უსაბუთოდაც გჯერათ, რომ ბატონ ნოდარს შეუძლებელი იყო ასეთი რამ ეთქვა. ჩვენ პირიქით, არ გვჯერა და ახლავე მოგახსენებთ, რატომ?

შეიძლება თქვენ დაგავიწყდათ, ამიტომ იძულებული ვარ გაგახსენოთ, 1985 წლის 5 ოქტომბრის თქვენივე გაზეთის ნომერი, სადაც გამოქვეყნდა წერილი „როცა დუმილი ოქრო არ არის". რაიონში ძალზე გახმაურებულ ე. წ. „ძროხების საქმის" შესახებ, მასში, თუ გახსოვთ, მხილებული იყო მახარაძის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ნ. ტაკიძე — (დიახ, დიახ, სწორედ ის დეპუტატობის კანდიდატი, ვის გამოც თქვენ პრესკლუბელებს მოქმედების „ფორმები და ხერხები" დაუწუნეთ), რომელიც დაუკავშირდა პასუხისგებაში ნამყოფ (უკვე გარდაცვლილ) ვინმე კ. ღლონტს და ხელმძღვანელობას უწევდა პირუტყვის შესყიდვის მასობრივ უკანონო ოპერაციებს.

მოკლედ, მაშინ თქვენივე გაზეთი ასე წერდა — სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სესიამ დააყენა საკითხი ნ. ტაკიძის დეპუტატობიდან გაწვევის შესახებ...

იმედია, გაგახსენდათ, ბატონო თამაზ!

კიდევ დავუშვათ, ეს ფაქტი თქვენც დაგავიწყდათ, მაგრამ მეორე საკმაოდ გახმაურებულ ფაქტს რაღა ვუყოთ. ბარემ მასაც მოგაგონებთ, გადაშალეთ 1985 წლის 8 სექტემბრის „კომუნისტი". იქ შავით თეთრზე წერია, რომ „მორალურ-ეთიკური ნორმების უხეშ დარღვევებში გარეული აღმოჩნდა ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკიც. მახარაძის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის ამხ. ნ. ტ. ტაკიძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა... — 0,5 საშტატო ერთეულზე იურისკონსულტად მუშაობას მახარაძის საფუთავ ქარხანაში..."

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბატონი ნოდარი მაშინ გაირიცხა სკკპ რიგებიდან და განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან!!!.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ როცა ამგვარი ფაქტები არსებობს, როცა ამ შეხვედრის ათზე მეტი დამსწრე ადასტურებს გაზეთში მოყვანილ ფაქტებს, იქ, რაიონში, ჩემი აზრით, ასე დაუნდობლად არ უნდა მოვექცეთ უმცროს კოლეგებს, მით უფრო, როცა პრესკლუბელებზე იქვე წერდით, რომ მიესალმებით „მათ ყოველ შემოქმედებით წარმატებას".

ბატონო თამაზ, ბარემ აქვე ვიტყვი ერთსაც. მე გულდასმით გადავათვალიერე თქვენი გაზეთის შარშანდელი ნომრები, უფრო 9 აპრილს აქეთ გამოცემული. ვნახე პრესკლუბელთა ნაღვაწი. იმედია, როგორც მათი „ყოველი შემოქმედებითი წარმატების" მოსურნეს, გესიამოვნებათ თუ ვიტყვით, რომ პრესკლუბელთა ნაღვაწი თქვენს გაზეთში ძალიან, ძალიან გამოირჩევა ტრაფარეტული ნომრებისაგან, მასალებისაგან.

და იცით, მიკვირს, რატომაა, რომ თქვენს რაიონში მცხოვრები და მოღვაწე დაახლოებით ათამდე პროფესიონალი ჟურნალისტიდან რედაქციაში სრულ შტატზე მხოლოდ ერთი მუშაობს და ისიც...

და ისიც... რედაქტორი!

იმედია, მიმიხვდით — მათი, ამ პრესკლუბელების გვერდში უფრო მეტად ამოყენებით. მეტი თანადგომით, თქვენი გაზეთი მეტ პოპულარობას მიაღწევდა და არა ასე, „დაჩაგრულთა" გამოქომაგების თქვენეული მეთოდებით.

**ბიგლა ბოგეჩია**



ერთი თვის მანძილზე ტყიბულში ოთხივე შახტა გაჩერებულია... ზარალმა 10 მილიონ მანეთს მიაღწია და დღითი-დღე იზრდება.

დღეს კი, თბილისში მთავრობის სასახლის წინ 250 ტყიბულელი მეშახტე ზის. მათგან 57 ქალია. გაფიცულები ითხოვენ გაერთიანება „საქნახშირის" ქუთაისიდან ტყიბულში გადმოტანას.

მათი აზრით, ამით ტყიბულელთა საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობები გაუმჯობესდება...

— სადაც ადამიანები არიან, სახლიც იქ უნდა იყოს... სადაც მოძრაობაა, მთავარი ღერძიც იქვე უნდა ბრუნავდეს — ასე ფიქრობენ ტყიბულელი მეშახტეები...

**ნინო სამხარაძე**

# როგორ იწრთობოდა სიყალბე

**ერთხელ**, რომელიღაც თავყრილობაზე მსახიობმა და რეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა თქვა: „საბჭოთა კინემატოგრაფი, ისევე როგორც შემოქმედების სხვა სფერო ჩვენში, მოქცეულია მკაცრ ჩარჩოებში, ზოგიერთი ნიჭიერი, ამავე დროს ცბიერი ხელოვანი ახერხებს ამ ჩარჩოებიდან სხეულის სხვადასხვა ნაწილების გამოყოფას, მაგალითად, თითის, თავის, ცხვირის, ყურის... ელდარ რიაზანოვმა კი მთელი უკანალის გამოყოფა მოახერხა".

უძრაობის ჟამს ჟურნალისტიკაში გატარებული ერთი წელი თავისი სიმძიმით ოთხ წელიწადს უდრიდა, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ „შორეულ წარსულში" წილად მხვდა „ბედნიერება" საქტელერადიოს ტელეოპერატორ ვიტალი ხარებავასთან ერთად გავმგზავრებულიყავი ბამზე და გადამეღო საუკუნის ამ „საოცრების" დასრულების ანუ ბამის ლიანდაგების შეპირაპირების საზეიმო წუთები. მოსკოვში გაფრენის დღეს მე და ვიტალიმ პროგრამა „ვრემიაში" ვნახეთ, თუ როგორ მუყაითად შრომობენ ბამის მშენებლები, კადრში მოჩანდა ჯერ კიდევ მწვანე ფოთლები, ყვავილები და გაოფლილი, ხალვათად ჩაცმული ბამელები. ჩვენც, რასაკვირველია, ხალვათად გამოვეწყეთ, ჩვეულებრივ პერანგებში, საგაზაფხულო ქურთუკებში და სპორტულ ფეხსაცმელებში. პროგრამა „ვრემიას" ხუმრობა ძვირად დაგვიჯდა, ნოვოსიბირსკში მინუს 16 გრადუსი დაგვხვდა, ჩარაში კი მინუს — 25. ჩარაში „ბამელმა ქართველებმა" მანქანა დაგვახვედრეს. იკაბიამდე, სადაც ქართველები მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ, სულ რაღაც ორმოცდაათიოდე კილომეტრი იყო. იკაბიაში მეც და ვიტალისაც მაღალი სიცხე მოგვცა, მესამე დღეს უკვე ბამის შეპირაპირება იყო დანიშნული, მეორე დღეს დილით ალკკ-ს სააგიტაციო მატარებელს უნდა ჩამოევლო, ჩვენ ყველა ხერხი უნდა გვეხმარა, რომ ამ მატარებელში მოვხვედრილიყავით, წინააღმდეგ შემთხვევაში კუნძულზე ვერ ჩავიდოდით, სადაც შეპირაპირების ზეიმი ჩატარდებოდა, იკაბია ტაიგაში აშენებული პატარა დაბა გახლდათ, სხვათა შორის, შესამჩნევად გამოირჩეოდა სხვა რესპუბლიკების დაბებისაგან სისუფთავით, კომფორტით, მაგრამ ტაიგა ტაიგაა, მხოლოდ ის, რომ იკაბია (ისევე როგორც სხვა დაბები) მუდმივ მზრალობაზე იდგა, დიდ სიკეთეს არ უქადდა ადამიანის ჯანმრთელობას. მე და ვიტალიმ მთელი ღამე ერთმანეთის მკურნალობაში გავატარეთ, მეორე დილით დასუსტებულები და არაქათგამოცლილები გამოვედით სააგიტაციო მატარებლის დასახვედრად, თან ერთი ქართველი ინჟინერი გვახლდა, სამლიტრიანი სპირტიანი ქილით, ეს რა არის-მეთქი?- ვკითხე, ეს ის ჯადოსნური „მანდატია", რომლის საშუალებითაც მატარებელში უნდა მოხვდეთო. მოვიდა როგორც იქნა ალკკ-ს სააგიტაციო მატარებელი — და იკაბიაში წუთნახევარი გაჩერდა. მატარებლის უფროსი თავიდან სასტიკი წინააღმდეგი წავიდა, მაგრამ სპირტიანი ქილა მართლა აღმოჩნდა ჯადოსნური მანდატი. მთელი ღამე ღრეობდა კომკავშირი. იქ ყველაფერი იყო, სადღეგრძელოები: კომკავშირის, ბრეჟნევის, გმირი ბამელი მშენებლების... იყო სიმღერებიც, ცეკვაც, სტრიპტიზიც, სიყვარულიც...

დილით უკვე იკაბიაში ვიყავით. აქ გავიგეთ, რომ ბამის შეპირაპირება სულ სხვაგან მოხდა, აქედან 60-70 კილომეტრის დაშორებით, იმ დღეს მხოლოდ ინსცენირება ხდებოდა, ვინაიდან ეს ადგილი უფრო გაშლილი გახლდათ და მოსახერხებელი იყო ზეიმის ჩასატარებლად. კინაღამ დამავიწყდა, ვიდრე იკაბიაში ჩავიდოდით, კადარის ქედის გვირაბთან მატარებლიდან მგზავრები ავტობუსებში გადასხეს. ერთი კვირით ადრე გვირაბის ნაწილი ჩამონგრეულიყო და მშენებლებს სარეკორდო დროში მოესწროთ პირდაპირ ქედზე დროებითი სარკინიგზო ხაზის გაყვანა, რომლის საიმედობაში ყველას ეპარებოდა ეჭვი, ამიტომაც გადმოსხეს მგზავრები. შემადგენლობა მხოლოდ მემანქანეს მიჰყავდა. მე და ვიტალი იმდენად ვიყავით გაბრუებულები სპირტისა და სიცხისაგან, რომ გარეთ გასვლა ველარ შევძელით და ვაგონის საბარგო ნაწილში დავიმალეთ. მატარებელი რწევით და ტაატით მიიწევდა საკმაოდ დამრეც სიბრტყეზე, ახლაღა მივხვდით, რა ხიფათში გავყავით თავი, ორჯერ შემადგენლობა კარგახანს შეჩერდა, ბოლოს, როგორც იქნა, მშვიდობით გავედით ქედის მეორე მხარეს. იქ კი სხვებიც შემოგვიერთდნენ.

იკაბია სავსე იყო სხვადასხვა აგიტმატარებლებით და აკრედიტებული უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტებით. ლიანდაგების შეპირაპირებამდე ოთხი წუთით ადრე ასეთი ინციდენტი მოხდა. ის იყო ტრიბუნაზე უნდა ასულიყვნენ მთავრობის წევრები, რომ ვიღაცამ დაიძახა, ჩეხურ ლუდს ყიდიან ბოთლებშიო. მთელი ხალხი ბაზრობის ადგილს მიაწყდა, სადაც შეპირაპირების მერე იმპორტული საქონელი, პროდუქტები და სასმელი უნდა გაყიდულიყო. ეს ყველაფერი ცერემონიალის დამთავრების შემდეგ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მთვრალ ნოქარს შეშლოდა და ჯიხური ცერემონიალის დაწყებამდე გაეღო. მოკლედ, შეპირაპირების ადგილას მხოლოდ ვიტალი და მე დავრჩით და კიდევ მთავრობის წევრები ტრიბუნაზე. ხალხი ჯიხურს მიაწყდა, დაიწყო ზედახორა, მთელი ბამის მილიცია და უშიშროება იქ გაჩნდა, ჩოცვიდნენ წითელსამკლაურებიანი რაზმელები, მთვრალი ნოქარი დააპატიმრეს და სულ ცემა-ტყეპით შეტენეს მილიციის მანქანაში. ჯიხური დაკეტეს და გარშემო მილიციელები დაუყენეს. უკმაყოფილო ხალხი შეპირაპირების ადგილისაკენ გამორეკეს. ყველაფერი ეს უცხოელმა ფოტოკორესპონდენტებმა და ტელეოპერატორებმა გადაიღეს, ჩვენს გარდა; ჩვენ არ გადაგვიღია, ვინაიდან წინასწარ ვიცოდით, რომ ამ კადრებს ტელემაყურებელი ვერ იხილავდა. ერთი სიტყვით, საზეიმო შეპირაპირება მოხდა.

უკან ისევ კომკავშირული მატარებლით წამოვედით, სპირტი უკვე აღარ გვქონდა და „ბილეთებად" ერთი ყუთი ლუდი გამოვიყენეთ. გზაში ისევ იყო სადღეგრძელოები... ბრეჟნევის და კომკავშირის სადღეგრძელო ფეხზე ადგომით შეისვა, რა დაგვავიწყებს კომკავშირულ მატარებელში გატარებულ იმ ღამეს... ვიტალის, ალბათ, არ ახსოვს, ის სიცხიანი იწვა და ბოდავდა...

იკაბიაში შვიდ დღეს დავყავით. აქ ვნახეთ თითქმის გარუსებული ქართველი ინჟინრები, რომლებიც ნოსტალგიას და სევდას სასმელით იქარვებდნენ, მუშებს უფრო ყოჩაღად ეჭირათ თავი, სუფთა ჰაერზე ფიზიკური შრომა მაინც აძლევს საშუალებას ორგანიზმს ებრძოლოს სტრესებს, ავადმყოფობებს, ალკოჰოლს...

იკაბიის გარდა მე და ვიტალი ვიყავით ევენკების სოფელ ჩაპაოლოგოში. შემზარავი იყო დეგრადირებული ევენკების ნახვა. მომთაბარე ევენკები ადგილებზე დაამაგრეს, ე. წ. რეზერვაციაში მოაქციეს, ვერა და ვერ შეაჩვიეს „სოფლის მეურნეობას". დილით დათესილ კარტოფილს საღამოთი ამოთხრიდნენ ხოლმე, მონადირეობა იყო ევენკების საქმე და არა სოფლის მეურნეობა, მოტყუებული, გულგატეხილი ევენკები წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ ბრეჟნევს, ბამის მშენებლებს და ყველა იმათ, ვინც საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებად აქცია ისინი. დაბინდდებოდა თუ არა, ევენკები სმას იწყებდნენ, დიდი თუ პატარა სპირტს და არაყს სვამდა და თუთუნს აბოლებდა, გალოთებულ ევენკებს თოფები ჩამოართვეს და ძალიან განიცდიდნენ ამას.

მაშინ ყველაფერი ეს დავწერე, მაგრამ „ახალგაზრდა კომუნისტმა" არ დაბეჭდა; ტელემაყურებლებმა კი იხილეს საუკუნის სარკინიგზო მშენებლობის უკანასკნელი მეტრების შეპირაპირება, იხილეს ბამელების ბედნიერი სახეები, კომკავშირული მუშაკები, მგზნებარე სიტყვებით რომ გამოდიოდნენ ტრიბუნაზე, იხილეს ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მომღერალი და მოცეკვავე ევენკები.

მე და ვიტალი ხარებავას ბამზე მომზადებული ტელესერიალისათვის იმდენი ჰონორარი გადაგვიხადეს, რამდენიც მივლინებაში დავხარჯეთ. ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ მე და ვიტალის დიდხანს გვახრჩობდა ხველება, ხარებავას თურმე ფილტვის ანთება გადაეტანა, არც მე ვყოფილვარ უკეთეს დღეში.

ერთი სიტყვით, უძრაობის იმ შორეულ დღეებში ასე ვცხოვრობდით ქართველი ჟურნალისტები, თუმცა მგონი არც ახლა არიან უკეთეს დღეში.

**თამაზ ჭეიშვილი**

ისტორიას თავისი კანონები აქვს, ჩვენი ერი დროის სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებულად ცხოვრობდა, თუმცა მისი მისია ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის გზაზე უცვლელი იყო.

ბოლო დროს, როცა ბევრი რამ ფასეული გაქრა და გაუფასურდა, ჩვენმა ხალხმა დაკარგა ძველი თვისებანი და ამის გამო ბუნებაც უცხო და უცნობი შეიქმნა მისთვის... როცა ეკოლოგიურმა ნგრევამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, ეკონომიკურმა კრიზისმა და ქაოსურმა მიგრაციებმა მთლიანად მოშალა ჩვენი მთა-ბარი. ვფიქრობთ, უსარგებლო არ იქნება, რომ ზოგი რამ წარსულსაც ვკითხოთ — დავუბრუნდეთ ჩვენს საუკუნოვან ცოდნას ყველა სფეროში და, კერძოდ, მიწათმოქმედების საქმეში.

ხალხი ფიქრობს, რომ თვითონ მოუვლის ყოველგვარ სატკივარს, თუ მას მისცემ ამის უფლებას, თუ მას ექნება თავისი მიწა, ერქმევა მისი სახელი მის ხატსა და სალოცავს, ეყოლება ხევისბერი თავისი რიტუალისთვის და ასე შემდეგ...

საქართველომ უნდა აღიდგინოს თავისი სოფელი — მისი მაცოცხლებელი და საარსებო ძუძუ.

ვერ აღვადგენთ სოფელს, თუ მიწის მფლობელი და პატრონი არ იქნება თავისუფალი, თუ წინ არ აღვუდგებით მოსახლეობის ბარბაროსულ აყრა-გადასახლებას და გაძევებას ტრადიციული ფუძეებიდან.

თუ წინ არ აღვუდგებით ძველი ადათ-წესებისა და რიტუალების დავიწყების მწვავე ეპიდემიას. ყოველივე ეს იწვევს ერის გნოსეოლოგიური ფესვის ჩაშლას და სიბრძნის დაკარგვას, სიბრძნედაკარგული ხალხი კი ადვილად იღუპება (ვაჟა-ფშაველას მინდია...). ვერ შეინარჩუნებს წონასწორობას ცივილიზებულ სამყაროში ერი, რომელიც მიწის შვილი იყო და მიწას მოწყდა.

„მიწის განთავისუფლება" მთებიდან უნდა დავიწყოთ (რადგანაც აქ სრულიად საგანგებო მდგომარეობაა). და რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნოთ მოსახლეობას ისტორიულ, ღვიძლ მიწა-წყალზე პატრონის უფლება და თავისუფალი მოქმედების ნება.

რაც შეეხება კონკრეტულად ხევსურეთს, ბოლო დროს მოვლენები ისე საბედისწეროდ განვითარდა, რომ საქართველო თითქმის უხევსურეთოდ დაგვრჩა, თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა ის, რამაც საუკუნეებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია.

50-იანი წლების იძულებითმა, ბარბაროსულმა მიგრაციამ ძირფესვიანად მოშალა ეს მხარე — აყრილთ თავისი დაემართათ, ხოლო ის მცირე ნაწილი, ვინც გადასახლებას გადაურჩა, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა: მათ თავს დაატყდა ჩვენი სისტემის ყველა მანკიერი, ანტიხალხური, ანტიჰუმანური ტენდენცია:

კოლექტივმა მოუშალა ნაცადი სამეურნეო სტრუქტურა.

სახელმწიფო სატყეომ წაართვა ხევსურებს ის ტერიტორია, რომელიც მათ ისტორიულად ტყეს და ღრეს გამოსტაცეს და სასარგებლო მიწად აქციეს.

მილიციისა და ჩეკას თავგასულმა მოქმედებამ (ზედმეტია რომ არაფერი ვთქვათ, ხევსურების განთქმული აბჯარი სატვირთო მანქანებით მიჰქონდათ და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ადნობდნენ!), ცხვრის ფარების შემოსევამ, ტრანსკავკასიის მაგისტრალმა, რაიონული პარტიული ბიუროკრატიის გამთიშველმა მავნებლურმა მოქმედებამ, ჟინვალის წყალსაცავმა და სხვამ სულიერ და ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა ეს მხარე.

ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროგრამა არსებითად შეცვლის მდგომარეობას, თუ იგი განხორციელდა მთლიანად, მთავრობისა და მოსახლეობის სრული ერთიანობისა და მხარდაჭერის პირობებში. ხოლო თუ ამ საკითხსაც ჩვეული ფორმალურობით მოვეკიდებით, მოვლენები ალბათ უკვე შეუქცევად ხასიათს მიიღებს...

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილ პროგრამას ინტერესით და იმედით შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა, მონაწილეობა მიიღეს მის დახვეწა-დამუშავებაში; ხევსურეთის ეკონომიკური ხსნის პროგრამა ძირითადად მოამზადეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის წევრებმა: ა. არაბულმა (ენათმეცნიერი), ქ. არაბულმა (მწერალი), გ. გოგოჭურმა (ისტორიკოსი), ი. წიკლაურმა (ეთნოგრაფი), გ. წიკლაურმა (ეკონომისტი).

**კობა არაბული**

# ხევსურეთის ეკონომიკური ხსნის

## ანუ მიწის სათემო მფლობელობაში გადაცემის

# პროგრამა

I

**ხევსურეთს** ტრადიციულ მფლობელობაში უნდა დაუბრუნდეს მისი ისტორიულად კუთვნილი მიწა-წყალი თავის ძველ, კოლმეურნეობამდელ, სათემო საზღვრებში, ე. ი. აღდგეს სათემო საკუთრება მიწაზე (ეს წესი უნდა გავრცელდეს დუშეთის რაიონში და ყაზბეგის რაიონში მოქცეულ ხევსურეთის უძველეს სოფლებზე: ბაკურხევზე, ჯუთაზე და არტხმოზე, რომლებიც აყრილი და აყრის პირას არიან მისული კოლმეურნეობათა ექსპლუატაციით).

მიწის ასეთი გადაცემა ხევსურეთის მოსახლეობას, რომელსაც აშკარად შემორჩენილი აქვს თემობრივი ნიშან-თვისებანი, საშუალებას მისცემს ისტორიულად ნაცადი, შეუვალი ტრადიციების საფუძველზე დაიცვას თავისი კუთხის ბუნება (ტყე, წყალი, ნადირ-ფრინველი და სხვა ბუნებრივი რესურსები), აღადგინოს ის ზნეობრივი და ეთნიკური ჩვევები ამ მიწაზე, რომელიც თვითმყოფადი არსებობის საშუალებას აძლევდა ამ კუთხის მოსახლეობას.

მიწის სათემო მფლობელობაში გადაცემა მთლიანად გამორიცხავს ამ მიწის გაყიდვას, გაჩუქება-გასხვისებას, აღუდგენს მიწის მფლობელს მეპატრონის დაკარგულ ფუნქციას, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია დღევანდელ პირობებში.

სათემო მფლობელობაში გადაცემული საძოვრების გადასახადი, ანუ „საბალახე", ხევსურეთისათვის ისევ იქცევა საარსებო წყაროდ, როგორც წარსულში იყო; შემოსავალი ჩაირიცხება სათემო ფონდში.

ხევსურეთი ტრადიციულად დაიყოფა შემდეგ თემებად: არხოტის, გუროს-შატილის, არდოტის, გორშელმის, გუდანის, ბისო-ხახმატის, ლიქოკის, წყალსიქითის და საარაგვოს თემები.

ხევსურეთის სოციალური თუ სამეურნეო ხასიათის საერთო საკითხებს განაგებს დიდი სათემო საბჭო, რომელიც ჩამოყალიბდება ხევსურეთის ყველა თემის რჩეულ კაცთა წარმომადგენლობით (3-4 კაცი თითოეული თემიდან).

სათემო საბჭოს შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით შეყვანილ უნდა იქნენ ბარში მცხოვრებ ხევსურთა წარმომადგენლებიც.

თემის საკითხებს წყვეტს თემის საბჭო (სოფლიდან ერთი კაცის წარმომადგენლობით).

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (იმ შემთხვევაში თუ ეს საბჭო შენარჩუნებული იქნება) არის დიდი სათემო საბჭოს წევრი.

დიდი სათემო საბჭო, ზოგადად, არეგულირებს ხევსურეთის საერთო საკუთრებაში გადაცემული მიწის საკითხს და მოსახლეობის მიგრაციის პროცესს, იცავს და პატრონობს ბუნებრივ სიმდიდრეს, განაგებს თემის საკუთრებაში არსებულ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, იხილავს და წყვეტს თემის ყოფა-ცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

თემი არის პიროვნების ინტერესების დამცველი, სჯულმდებელი და სამართლის გამგებელი.

დიდ სათემო საბჭოს ენიჭება იურიდიული პირის უფლება, აქვს შტამპი და ბეჭედი, ხსნის საკუთარ ანგარიშს სახელმწიფო ბანკში. სათემო საბჭოს უფლება აქვს ზემდგომ სახელმწიფო და სამართალდამცავ ორგანოებს გადასცეს მათი ქვემდებარე საკითხები.

II

სათემო მფლობელობაში გადაცემულ მიწაზე უნდა შეიქმნას კერძო ფერმერული მეურნეობები გარემო პირობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით (მეფუტკრეობა, საკალმახე მეურნეობა, წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მეურნეობა, ხალხური რეწვა, სანადირო მეურნეობა, მეფრინველეობა და სხვა).

მოსახლეობას კერძო ფერმერული მეურნეობისათვის უნდა გადაეცეს მცირე სამთო ტექნიკა, რათა აღორძინდეს მთაში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოშენებისა და ხვნა-თესვის ტრადიცია (შვრია, წიწიბურა, დიკა, ჩალათი, სვილი, კანაფი, კარტოფილი და სხვა).

ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეცეს გრძელვადიანი სესხი მეურნეობების მოსაწყობად. ბარისახოს საბჭოთა მეურნეობა გადაკეთდება კერძო ფერმერულ მეურნეობად (წევრთა სურვილისამებრ).

III

მიწა, სათიბი და საძოვარი, სათემო მფლობელობის დროს, სათემო საკუთრებას წარმოადგენს.

იმ თემ-სოფლებში, სადაც არსებობდა სათიბების კომლთაშორის გადანაწილების ტრადიცია, სათიბს სოფელი ანაწილებს კომლობის მიხედვით და ეს გადანაწილება მეორდება პერიოდულად, ახალ კომლთა მოსვლა-წასვლისა და ოჯახების სეგმენტაციის გათვალისწინებით.

სახნავი მიწა რჩება საკომლო საკუთრებაში. კერძო მეურნეობების პირობებში შესაძლოა მოხდეს მათი გაერთიანება მეკომურთა სურვილებისამებრ.

სოფლის მფლობელობის საზღვრებში არსებულ მამულებს მცხოვრებთა შორის ანაწილებს თემ-სოფელი.

იმ შემთხვევაში, თუ სოფლიდან წასული მოსახლე გამოთქვამს სურვილს უკან დაბრუნებაზე, მას სოფელი (თუ სათემო საბჭო) დაუყოვნებლივ აძლევს ამის საშუალებას.

იმ შემთხვევაში, თუ ხევსურეთის მკვიდრი, ანდა ბარიდან დაბრუნებული მოსახლე გამოთქვამს სურვილს სხვა სოფელში დასახლებისას, მაშინ ამ საკითხს წყვეტენ აღნიშნული სოფლის მცხოვრებლები და ამტკიცებს სათემო საბჭო. დაცლილ სოფლებში დასახლების საკითხს წყვეტს სათემო საბჭო, ამ სოფლის ყოფილ მცხოვრებლებთან შეთანხმებით.

IV

საძოვრება როგორც საზაფხულო, ასევე საზამთრო, მიწის სათემო მფლობელობის პირობებში (და ინდივიდუალური მეურნეობების დროს) საერთო სასოფლო საკუთრებას წარმოადგენს.

სოფლებს შორის სასაძოვრე საზღვრები უნდა დადგინდეს ტრადიციულად არსებულ მიჯნებში.

საძოვრების ის ნაწილი, რომელსაც სოფელი ვერ აითვისებს, სათემო საბჭოს შეუძლია დროებით გადასცეს სხვა სოფლის სარგებლობაში, ანდა გასცეს იჯარით და იქიდან მიღებული შემოსავალი ფულადი თუ ნატურა ჩაირიცხოს სათემო ფონდში.

საძოვრების იჯარით გადაცემისას უპირატესობა ეძლევა მეზობელი თემ-სოფლებისა და კუთხეების მცხოვრებლებს (ფშავი, გუდამაყარი, მთიულეთი, თუშეთი, ხევი და ა. შ.).

იმ შემთხვევაში, თუ დადგა საზამთრო-საზაფხულო საძოვრების გაცვლის საკითხი, ამ საკითხს გადაწყვეტს მხოლოდ ხევსურეთის დიდი სათემო საბჭო საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

საძოვრის დამქირავებელს უფლება არა აქვს ამ საძოვრის სხვისთვის გადაცემისა. ქირავნობის ხელშეკრულება იდება მხოლოდ ერთი წლის ვადით.

ბარის საზამთრო საძოვრებით ინდივიდუალური მეურნეები (თუ ფერმერთა კოლექტიური მეურნეობები) სარგებლობენ იმავე წესით, რა წესითაც კოლმეურნეობა თუ მეურნეობა სარგებლობდა.

საზამთრო საძოვრებით სარგებლობის საჭიროების შემთხვევაში დაიდება ხელშეკრულებები ინდივიდუალურ ან კოლექტიურ მეურნეობებსა და საზამთრო საძოვრების მფლობელებს შორის — პირადი შეთანხმების საფუძველზე (გაცვლა საზამთრო და საზაფხულო საძოვრებისა, ფულადი და ნატურით გადახდა...).

V

ტყე ხევსურეთში ტრადიციულად წარმოადგენდა კერძო და სასოფლო საკუთრებას. ხევსურეთის ტყეებს დაუწესდება სათემო საბჭოს მკაცრი კონტროლი, რაც გულისხმობს ტყის ჭრის ტრადიციული წესების დაცვას. ხატის (ჯვრის) ტყეები კვლავ ჩაითვალოს ტაბუირებულ ზონად.

მკაცრად აიკრძალება დეკისა და სხვა სუბალპური მცენარეების საწვავად გამოყენება.

სატყეო მეურნეობისათვის გადაცემული მიწის ფართობები, რომლებიც წარსულში წარმოადგენდა სახნავ-სათესს სავარგულებს, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს კერძო-ფერმერულ მეურნეობას.

თემისაგან ტაბუდადებულია ხის ჭრა ისეთ ადგილებში, სადაც არსებობს ეროზიებისა და მეწყერების, თოვლის ზვავების საფრთხე, აგრეთვე აკრძალულია გადაჭარბებული ძოვება ასეთ ადგილებში. ნადირ-ფრინველი დაცულია თემისაგან. თემი იცავს და განაგებს მის ტერიტორიაზე არსებულ ყოველგვარ ბუნებრივ რესურსებს: წყაროებს, მდინარეებს, თევზს, მცენარეულს.

VI

მიწის სათემო მფლობელობის პირობებში ხევსურეთის ინდივიდუალური მეურნეობების ბაზაზე ეკონომიკური და სავაჭრო პროცესების რეგულირებისათვის უნდა შეიქმნას სამეურნეო-კოორდინაციული ცენტრი (კონსორციუმი).

კონსორციუმის ფუნქცია იქნება ხევსურეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის მეურნეობათა საქმიანობის კოორდინაცია, პერსპექტიული დაგეგმვა, მეურნეთა საქმიანი ხელშეწყობა-სტიმულირება, კომერციული საკითხების მოგვარება. კონსორციუმი ხელს უწყობს ხალხური რეწვის, სხვადასხვა ადგილობრივ წარმოებათა განვითარებას (ლუდის წარმოება, მინერალური წყლების ჩამოსხმა, სამკურნალო მცენარეთა დამზადება და სხვა).

კონსორციუმს ექნება საგამოფენო და სავაჭრო-კომერციული ბაზები როგორც დედაქალაქში, ასევე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში. კონსორციუმს საწყის ეტაპზე სჭირდება ფინანსური დახმარება სამაცივრო და სასაკლაო მეურნეობის მოსაწყობად.

კონსორციუმს უნდა გამოეყოს 10 ჰექტარი ბარის მიწა სოფელ არაგვისპირის მიდამოებში.

კონსორციუმს უფლება ექნება პირდაპირი კავშირი დაამყაროს უცხოურ ფირმებთან და მისი მოგების გარკვეული ნაწილი (რასაც სათემო საბჭო დაადგენს) ჩაირიცხოს ხევსურეთის სათემო ფონდში.

ხელი უნდა შეეწყოს საოჯახო ტურიზმის განვითარებას. ამისათვის გამოიძებნოს სათანადო რესურსები. გამოყენებულ იქნეს აგრეთვე რკინიგზელთა მიერ ჩირდილის ჭალაში დატოვებული რამდენიმე შენობა, ტურისტული შემოსავლის ნაწილი ასევე ჩაირიცხება ხევსურეთის სათემო ფონდში.

VII

მოსახლეობის ამ კუთხეში დაბრუნების სტიმულირებისათვის აგრეთვე აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი კონკრეტული ღონისძიებების გატარება:

1. გამოცხადდეს ხევსურეთი დემოგრაფიულ და სტიქიურ უბედურებათა ზონად და მიეცეს ყველა ის მატერიალური დახმარება, რაც საქართველოს სხვა დაზარალებულ რეგიონებს ეძლევა.

2. 10-15 წლით უნდა შეჩერდეს ამ რეგიონში მუდმივად მცხოვრები ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურში გაწვევა. გამოცხადდეს ეს კუთხე ეთნონაკრძალად, როგორც დემოგრაფიულად კრიზისული ზონა.

3. მოსახლეობას მოეხსნას ყოველგვარი სამეურნეო და მიწის გადასახადი, გარდა სათემო ფონდში შესატანი სტაბილური მინიმუმისა (რომელსაც სათემო საბჭო ადგენს ქონებრივ მონაცემთა გათვალისწინებით).

4. მიყვანილი იქნას უგზოდ და უსინათლოდ დარჩენილ სოფლებში გზა და სინათლე (ჭიეში, ჭორმეშავში, სახილეში, წინხადუში, მუცო-არდოტის ხეობაში, ღულში, არხოტში).

5. აღდგეს სატელეფონო კავშირი ფშავ-ხევსურეთში.

6. აღდგენილი იქნეს მცირე ელექტროსადგური არაგვზე, სოფელ ბარისახოში და დაიგეგმოს სხვა მცირე ელექტროსადგურების მშენებლობა (არხოტში, როშკაში, მუცოში, ლიქოკში, გორშელმაში და დათვისში).

7. გამოიყოს ფინური ტიპის 30-მდე ბინა ხევსურეთის სხვადასხვა სოფლებსა თუ ნასოფლარებში ახლად დაბრუნებულთა დროებითი დასახლებისათვის.

8. შეიქმნას სპეციალური ტრესტი ფშავ-ხევსურეთის მშენებლობისათვის ანდა ეს დაევალოს მე-13 ტრესტს.

9. ყოველმხრივ შეეწყოს ხელი ტრადიციული საკულტო რიტუალების დაცვასა და აღორძინებას, საკულტო ძეგლების აღდგენას, რჯულის ინსტიტუტის გავრცელებას. ამ მიზნით ფშავ-ხევსურეთში უნდა შეიქმნას ძველ ხელსაქმეთა, ტრადიციულ წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა დამცველი და აღმდგენელი სასწავლებელი (გიმნაზია).

10. ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს ზოგიერთი ისტორიულ-მითოლოგიური ადგილი: როშკისა და ჯუთის ხორხები, დევებისა და კოპალას ნამარი ადგილები, ხოგაის მინდის ნამოსახლარი, ხახმატის ჯვრის ტერიტორია და სხვა.

არხოტის ხეობაში ჩამოყალიბდეს ეროვნული პარკი, შატილსა და მუცო-არდოტის ხეობას მიენიჭოს ეკო-მუზეუმის სტატუსი, ამ ტერიტორიაზე დიდი სათემო საბჭოს უფლებების შეუზღუდავად.

11. ბარისახოს სკოლა-ინტერნატის ბაზაზე შეიქმნას ეროვნულ-სპორტულ ვარჯიშობათა აღდგენის ცენტრი. უნდა აღორძინდეს საცხენოსნო, სამშვილდოსნო, სათხილამურო, სანადირო, საჭიდაო, ტყვიით სროლის, ფარიკაობის ტრადიციული სახეობანი.

12. თვისობრივად უნდა განახლდეს სწავლა-აღზრდის საქმე ბარისახოს სკოლა-ინტერნატში, საგანგებო ღონისძიებები უნდა გატარდეს სასკოლო ბაზის გაუმჯობესებისა და საკადრო რეორგანიზაციისათვის. დამთავრდეს სკოლის მშენებლობა შატილში. ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაიგზავნოს გარკვეული პროფილით და დაენიშნოს სათემო საბჭოს სტიპენდია.

13. აუცილებლად მიგვაჩნია ხევსურეთს თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს საქართველოს მთავრობაში და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში. სასურველია საქართველო ადმინისტრაციულად ისტორიული კუთხეების მიხედვით იყოს დაყოფილი და ამ პრინციპით იყოს დაკავშირებული ცენტრთან.

სათემო საბჭოს თანხმობის გარეშე არ უნდა განხორციელდეს არავითარი ღონისძიება ამ მითოლოგიური ხეობის წიაღში.

დასასრულს უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ საკითხს გულისხმიერად მოეკიდა რესპუბლიკის მთავრობა და სპეციალური დადგენილებაც მზადდება.



# დღესასწაულო!

**ვახტანგ ხარჩილავა**

**ადამიანისთვის** დღესასწაული მაშინაა, როცა ბედნიერია, როცა რაღაც უხარია... მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ისეთი დღესასწაულებიც არსებობდნენ, რომლებიც ჩვენს პირად გუნება-განწყობილებაზე სულაც არ იყო დამოკიდებული და რომლებიც, გვსურდა თუ არა, უნდა გვედღესასწაულა.

დღესასწაული — დაკვეთით, დღესასწაული — იძულებით, დღესასწაული, რომელიც მოსჯილი გაქვს...

ამ 70 წლის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენი ასეთი „დღესასწაული" გვიდღესასწაულია, რამდენჯერ ჩაგვივლია ტრიბუნებთან „ვაშას" გუგუნით, ცეკვით და სიმღერით, დროშების ფრიალით, გამაყრუებული შეძახილებით.

მივდიოდით, მივიმღეროდით, მივგუგუნებდით და იმაზე კი არ დავფიქრებულვართ, რომ არაფერია იმაზე შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი, ვიდრე ის, როცა არ გემღერება და გამღერებენ, არ გეცეკვება და გაცეკვებენ, არ გეტაშება და ტაშს გაკვრევინებენ.

აპუჩად აგდებული ურიცხვი ლაშქარი მიიზლაზნება დაუსრულებლად ამ 70 წლის მანძილზე გადაჭიმულ გზაზე მბრძანებელთა თვალსასეიროდ გამორეკილი ქუჩებსა და მოედნებზე, ძალად ამღერებულ-აცეკვებული ლაშქარი.

...ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ მივიღე მონაწილეობა სადღესასწაულო დემონსტრაციაში — თანამშრომლებმა ხათრი ვერ გავუტეხეთ რედაქტორს, რომელმაც ძალიან გვთხოვა დემონსტრაციაზე მოსულიყავით — საყვედურს ამკიდებენო — გვითხრა.

ვდგევართ სასტუმრო „საქართველოსთან" — ვდგავართ ნახევარი საათი, ერთი საათი... ჩვენს რიგს ველოდებით, წინ მშრომელთა მრავალრიცხოვანი კოლონებია...

...როგორც იქნა, გველირსა... ტრიბუნებს მივუახლოვდით და უნდა გენახათ, რა ერიამული ატყდა ჩვენს რიგებში — ხელების ქნევა, პაეროვანი კოცნები, ერთბაშად გადაჭდობილი ზეაღმართული ხელები, ღიმილისგან ყურებამდე გახეული პირები, აციმციმებულ-გაცისკროვნებული თვალები... ტრიბუნიდანაც ბლომად გვაფრქვიეს მომაჯადოებელი ღიმილები, ხელიც ბევრი გვიქნიეს... ბევრი გვესიყვარულნენ და გველაციცნენ...

ჩვენი კოლონა მთლად დადნა და დაშაქრდა..., თაფლის მდინარესავით მივდიოდით — ტკბილი, საამო, თბილი, საყვარელი მდინარე...

და მე ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ მძულდა ეს მდინარე, მძულდა ჩემი თავიც, მძულდა ეს ღიმილისგან გადაგლესილი პიომოთნე სახეები, ეს აფრიალებული ხელები, მძულდა ეს მაისი და ეს დღესასწაული.

უკანა კოლონა მოგვაწვა და იმას რომ არ ემარჯვნა, ჩვენ იქიდან წამომსვლელები არ ვიყავით... ვიდგებოდით იქ და დავაღამებდით შორით წვასა და შორით დაგვაში.

როგორც იქნა, გამოვეტიეთ... რუსთაველის პროსპექტზე გავიარეთ. ახლახანს გადატანილი სიხარულისგან დაბნეული კოლონა ნელ-ნელა მოდიოდა გონს — ახმაურდნენ, აყაყანდნენ. და მე უცებ მომეჩვენა, რომ ამ ადამიანებს ერთმანეთისა რცხვენოდათ, რცხვენოდათ და ცდილობდნენ ხუმრობა-ქილიკობაში გაეფანტათ უხერხულობის გრძნობა. რცხვენოდათ, რომ მონათა ბაზარზე ნაყიდი გლადიატორებივით ხელს უქნევდნენ თავიანთ მბრძანებლებს, რცხვენოდათ ნაძალადევი ღიმილის გამო, ქლესაობის გამო.

არ ვიცი, იქნებ მართლა მომეჩვენა და სინამდვილეში ამათ არაფრისა არ რცხვენოდათ. უბრალოდ, მე მინდოდა, რომ ეს ასე ყოფილიყო და ამიტომ მომეჩვენა, რომ რცხვენოდათ...

ლენინის მოედანზე ჩავედით. ახლა კი შეგვეძლო, საითაც გვინდოდა იქით წავსულიყავით... ტრანსპორტი, რა თქმა უნდა, არ მუშაობდა. ვის ენაღვლებოდა, როგორ წავიდოდნენ ეს ადამიანები შინ. ისინი უკვე არავის არ ჭირდებოდა — გამოიყენეს, როგორც სადღესასწაულო საშუალება, როგორც საზეიმო ხორცი და მორჩა.

სანაგვეზე გულგრილად გადაყრილი ხარახურა...

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ დღემდე მახსოვს ის „დღესასწაული", ის ხელოვნური ღიმილით გადაღლაბნილი სახეები, ვინ როგორ იქნევდა ხელს, ისიც კი მახსოვს... ის შეძახილებიც დღემდე მიდგას ყურში და დღემდე მრცხვენია. მათ მაგივრად, ვინც მაშინ იქ, რესპუბლიკის მოედანზე მიედინებოდა თაფლის მდინარედ...

დღესასწაულები... დღესასწაულები... შეურაცხმყოფელი, სევდიანი დღესასწაულები.

...გინახავთ ალბათ, 7 ნოემბრის წინა დღეებში როგორ დაატარებდნენ ალმა-დალმა თეთრ პერანგებსა და მოულესახელოებიან მაისურებში „გამოწყობილ" ბავშვებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს რესპუბლიკის მოედანზე — 7 ნოემბრის საზეიმოდ რეპეტიციები ტარდებოდა... მძლავრი რეპროდუქტორებიდან ისმოდა ზეიმის მთავარი რეჟისორის მჭახე ხმა: — თამაზ, შენი ჯგუფი წინ გამოიყვანე! ლეილა, გოგონები განზე გასწიე! თქვენ, მაღლა, ტრიბუნაზე, ჯერ არ გაინძრეთ, ნიშანს რომ მოგცემთ, მაშინ აფრიალეთ ცხვირსახოცები! და ა. შ. დილიდან საღამომდე, რამდენიმე დღის განმავლობაში.

ბედნიერების რეპეტიცია... განა შეიძლება სიხარულის დადგმა, ბედნიერების დადგმა?

შეიძლება თურმე და... დგამდნენ და დგამდნენ ცინიკოსი ხელისუფალნი „აღფრთოვანებული" ხალხის ბედნიერ მსვლელობას.

საღამოს კი ძლივს მილასლასებდნენ სახლებისკენ მშიერ-მწყურვალი, სიცივისგან აბაბანებული, ყელატკივებული ბავშვები, მეორე დილით რომ ისევ მოსულიყვნენ „დღესასწაულის" რეპეტიციაზე.

იქ ხომ არ ჩაენერგათ ჩვენს შვილებს სამუდამო ზიზღი და სიძულვილი ამ გამოგონილი, ყალბი წარმოდგენისადმი, ამ ყელში ამოსული ფარსისადმი, მკაცრი სინამდვილის დასაფარავად და შესალამაზებლად რომ დაედგათ ჩასუქებულ, მაძღარ, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაში დაოსტატებულ ძიებს და დეიდებს.

იქ, იმ დღესასწაულებზე ხომ არ ჩაენერგათ ჩვენს შვილებს ჩვენდამი — უფროსი თაობისადმი, უპატივცემულობა და უნდობლობა? ჩვენდამი, ვინც მწყობრად მივაბიჯებდით საზეიმო კოლონის რიგებში, მწყობრად ვიღიმებოდით, მწყობრად ვიქნევდით ხელებს, მწყობრად ვუკრავდით ტაშს და ამას ყველაფერს ხედავდნენ ჩვენი შვილები, რომელსაც შინ ნოსულნი, თვალებს ვერ ვუსწორებდით.

ჩვენი თაობა საკუთარი შვილების თვალწინ ნაცემი და დამცირებული თაობაა... ჩვენი წინა თაობაც საკუთარი შვილების წინ გალახული თაობა იყო...

დღესასწაულები, მდიდრული, პომპეზური, ფაშფაშა დღესასწაულები სახელმწიფოში, სახელმწიფოში, სადაც 40 მილიონი ადამიანი სილატაკის ზღვარზე ცხოვრობს.

...უწყვეტ ნაკადად მივედინებოდით ჩვენ „ბედნიერებისგან" აღავლებული მასა, საათობით ვიდექით რიგში, რომ იმათთვის დაგვექნია ხელი, ვინც ახლა ტრიბუნაზე იდგნენ. იდგნენ და მოწყალედ გვიღიმოდნენ, ჩვენ კი მივდიოდით და მივიმღეროდით და არც ერთხელ არ დავფიქრებულვართ იმაზე, თუ რატომ იდგნენ ისინი იქ, მაღლა, რა უფლებით, ვისი ნებით, რა დამსახურების გამო. არ დავფიქრებულვართ ამაზე, თუმცა როგორ უნდა დავფიქრებულიყავით, როცა განსჯის უნარი წაგვრთმეოდა, წინააღმდეგობის სურვილი, პროტესტის სურვილი გამქრალიყო ჩვენს არსებაში. ახლა იქ, იმ შემაღლებულ ადგილზე, ფიტულიც რომ დაედგათ, იმასაც ასე დავუქნევდით ხელს, იმასაც სათნო ღიმილს შევაფრქვევდით და შევენათებოდით.

დღესასწაულები... დღესასწაულების იმიტაცია არამარტო ქუჩებსა და მოედნებზე, არამედ ადამიანის სულში... როგორ მეთოდურად, გეგმაზომიერად ახორციელებდა იდეოლოგიური აპარატი დაუსრულებელი სადღესასწაულო განწყობილების დამკვიდრებას ლიტერატურაში, ხელოვნებაში, სულიერი ცხოვრების [illegible] სფეროში. ხელისუფალთა წაქეზებით და წახალისებით [illegible] და იწერებოდა ყალბი [illegible] და ოპტიმიზმით გაჟღენ[illegible] ნაწარმოებები — ქუხდნენ [illegible] ორატორები და ოდები, გუგუნებდნენ კანტატები. ამაყად [illegible] აბიჯებდნენ ჩვენს ეკრანებზე „[illegible] იმის ფერხულში ჩაბმული", [illegible] მუდამ სავსე მთვარესავით [illegible] საბჭოთა ადამიანები [illegible] ფერწერული ტილოებიდან [illegible] გვციცინოდნენ ლოყებღაჟღაჟა, [illegible] იანი მწველავი ქალები და [illegible] აკუნთული [illegible] ტრაქტორისტები, [illegible] ნერგიული, მხნეობით სავსე [illegible] მეურნეები და მუშები, ბოლო[illegible] ილიდი გარმონებით და[illegible].

ასე, თანდათან [illegible] თად შეიქმნა სულ საზე[illegible] დღესასწაულოდ შემართული საბჭოთა ადამიანის ლიტერატურული, ფერწერული თუ ეკრანული სახე — ცოტა მოაბდლო, გ[illegible] ახლუნგი, მაგრამ, სამაგიეროდ, [illegible] იდეურად და მორალურად მდგ[illegible] ჯანიანი ტიპის სახე, რომელიც ყოველთვის მზად არის კბილებით დაიცვას სოციდეები, თუმცა ხეირიანად არც ესმის ამ იდეების ნამდვილი არსი.

„Жизн стала веселее"-ო, ბრძანა ბელადმა და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მხიარულების და ბედნიერების ყიჟინა, რომელიც იმისთვის იყო მოგონილი, რომ მილიონთა კვნესის და გოდების ხმა ჩაეხშოთ. ეს დღესასწაულებიც განა იმისთვის არ მოიგონეს, რომ უბედურება მიეჩქმალათ? რკინის ტიხარივით დადგეს დღესასწაულები, რომ უცხო თვალს არ დაენახა რა ცოდვის კალო ტრიალებდა ამ ტიხარს მიღმა. ტიხარს აქეთ, სცენაზე, დღესასწაული ჭრიდა მზერას ჭყეტელა ფერებით, ტიხარს იქით კი სხვა სპექტაკლი გადიოდა, სხვა ცხოვრება, სხვა ყოფა — დრამატული, ტრაგიკული, სიმწრით, სილატაკით, შიშით, სასოწარკვეთით, უიმედობით სავსე.

— ღმერთი არ არისო! — წინასწარვე გააფრთხილეს, წინასწარვე მოუკვეთეს გზა სასოწარკვეთილ ადამიანებს, რომ ღმერთთან ჩივილ-ვედრებით ტყუილუბრალოდ არ გაეფლანგათ დრო. — ღმერთი არ არის, ღმერთის მაგივრად ჩვენა ვართ და აგერ ვდგავართ ტრიბუნაზე, თუ დაგვემორჩილებით, თუ თაყვანს გვცემთ და ქედს მოგვიხრით, შვებასაც მოგახიჭებთ, დაგაპურებთ და დაგარწყულებთ კიდევაც — მიახვედრეს უიმედოდ დარჩენილები და... ისინიც უწყვეტ კოლონებად დაიძრნენ წყალობის სათხოვნელად.

უზნეო გარიგებას ჰგავდა ჩვენი დღესასწაულები, ზემოთ მდგომთა და ქვემოთ მდგომთა შორის უზნეო გარიგებას და ძნელი გასარკვევია ამ ორსშორის რომელი იყო უფრო უზნეო — ის, ვინც წყალობის სანაცვლო მორჩილებას მოითხოვდა თუ ის, ვინც წყალობას მორჩილების ფასად ყიდულობდა.

იმათაც, ვინც ჩემს გვერდით მოაბიჯებდნენ იმ დღეს რესპუბლიკის მოედანზე და სახეგაბრწყინებულნი ერთგულად უქნევდნენ ხელს მაღლა მდგომთ, ერთი ქვენაგრძნობა ამოძრავებდათ: — იქნებ გამოგვარჩიონ, იქნებ დაგვიმახსოვრონ ასე სიყვარულით რომ ვიღიმებით, ასე ერთგულად რომ ვიქნევთ ხელებს, დაგვიმახსოვრონ და წყალობა გვიბოძონო...

დღესასწაულები... დღესასწაულები...

იყო დრო, როცა სიტყვა „პესიმისტი" სალანძღავი სიტყვა გახლდათ. „პესიმისტი" საშიში სიტყვა იყო და თუ მავანი კრიტიკოსი მას მოგაკერებდა, დიდხანს ვერ გაიმართებოდი წელში.

რადგან საბჭოეთში ვცხოვრობდით, ყველანი ოპტიმისტები უნდა ვყოფილიყავით, ყველანი, უკლებლივ!

ჩვენ ხომ მარადიულ დღესასწაულზე ვიმყოფებოდით, ცრემლის და მოღუშვისთვის როგორ უნდა მოგვცლოდა. საერთოდ, მოღუშული, სახემჭვუნვარი, ჩაფიქრებული კაცი საეჭვო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა ამ საყოველთაო ზეიმის ფონზე. მთელი ქვეყანა მხიარულობს, ეს კი რამ დაალონა, ალბათ საბჭოეთის დიადი გამარჯვებები უღრღნის გულსო — არ იყო გამორიცხული, რომ ასეთი ბრალდებაც წაეყენებინა რომელიმე ოპტიმისტ „ამხანაგს" სახემოღუშული „ამხანაგისთვის..."

მე წამიკითხავს, როგორ ედავებოდა 50-იან წლებში ერთი ახალგაზრდა კრიტიკოსი ახალგაზრდა პოეტს, რომელიც თავის ლექსში ჩიოდა, რომ ბებიას ნაყიდი პერანგი მთლად გაცვთა, დაილია, ახლის ყიდვის საშუალება კი არა აქვს, არადა, ზამთარი მოდის, ცივა... დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო იმ საწყალი სტუდენტის ლექსი. საბჭოთა პლატფორმაზე მდგარი კრიტიკოსი მკაცრად ტუქსავდა უპერანგო პოეტს — ეს თემა ხელოვნურად მოგონილს ჰგავს, ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში არავის ცივა და არავის შია, რაღაც-რაღაცეებს იგონებ შენაო — ასკვნიდა კრიტიკოსი და ლამის პოლიტიკურ შეცდომად უთვლიდა იმ საბრალოს თავის გაჭირვებასა და ხელმოკლეობაზე დაწუწუნებას.

— როგორ შეიძლება, საბჭოთა ბელურას ციოდესო — ესეც ითქვა ალბათ, ითქმებოდა უსათუოდ, იმ დროს ისეთ რამე-რუმეებს ამბობდნენ, ესეც რომ თქმულიყო, რა გასაკვირია.

— ნიჭიერი, ფულიანი, ლამაზი ბაირონი პესიმისტი იყო. უნიჭო, უფულო, ულამაზო №-ი ოპტიმისტია! როგორ და რანაირადო — გაუკვირვებია ერთ მწერალს (მგონი, ნოდარ დუმბაძეს).

ოპტიმისტი იქნებოდა, აბა რა ექნა, პესიმისტობის უფლება როდის ჰქონდა, „ოპტიმისტობით" უნდა ერჩინა თავი და ცოლ-შვილი. ძალიანაც რომ ნდომოდა, დღესასწაულს ვერ გამოაკლდებოდა!

აგერ, სულ ბოლო წლებამდე არ იყო, ვინმე უბირი და უწიგნური მოხელე უბოდიშოდ რომ ამოგიშლიდა თუ სადმე სევდას, დარდს ან ცრემლს წააწყდებოდა.

დღესასწაულები... დღესასწაულები.. ის მოხელეც ამ დღესასწაულების მთავარი რეჟისორების ასისტენტი იყო, რომელსაც დღესასწაულის ერთ-ერთი უბანი ებარა და პასუხისმგებელიც გახლდათ, რომ თავის უბანზე არასაზეიმო, პირქუში განწყობილება არ გაპაჭანებულიყო. მეტი საქმე არ ჰქონდათ, ვიღაც გულჩვილი და ნერვებსუსტი პოეტის ცრემლებით საერთო-საყოველთაოსახალხო დღესასწაული გაეფუჭებინათ.

ლამის იყო საკუთარი თავის გამოტირების უფლებაც კი წაგვართვეს ამ ზეიმისა და ტაშ-ფანდურას ქვეყანაში.

— ამაზე უფრო სანუკვარი, ამაზე უფრო დიდებული, ამაზე ბედნიერი ხანა კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილაო — წარბშეუხრელად გვიმტკიცებდნენ ზემოდან და ჩვენც მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით ვაჯილდოებდით ორატორს. ტაში ოვაციაში გადადიოდა, მერე ყველანი ფეხზე ვდგებოდით და ხმაშეწყობილად ვმღეროდით თუ რა ბედნიერნი ვართ ჩვენ, ჩვენ — უბედურნი. რა მდიდრები ვართ ჩვენ — ღატაკნი და უპოვარნი. რა სულგრძელები ვართ ჩვენ — სასტიკნი და ულმობელნი.

დღესასწაულები... დღესასწაულები...

რა ჰქვია ამას, როცა გეტირება და მღერიხარ, საგლოვად და საშიშად გაქვს საქმე და დღესასწაულობ. რა ჰქვია დღესასწაულით ამგვარ თრობას და გამოლენჩებას, დღესასწაულის ოპიუმით გაბრუებას და გამოყეყეჩებას, როცა რეალობის შეგრძნებას ჰკარგავ, საკუთარ თავს ჰკარგავ და დღესასწაულის მღვრიე მორევი ქვევით, ქვევით, უძირო ფსკერისკენ მიგაქანებს, ფსკერისკენ, საიდანაც ამოფორთხება ძალზე ძნელია, რომ კვლავ ადამიანად იქცე, ამაყ, თავმოყვარე, მართალ, კეთილშობილ ადამიანად, რომელიც არასოდეს იკადრებს იმღეროს მაშინ, როცა ეტირება.

დღესასწაულები... დღესასწაულები...

— გიხაროდენ! დღესასწაული დამთავრდა! ლოცვისთვის, ალსარებისთვის, გულწრფელი ცრემლისთვის, ფიქრიანი ცხოვრებისთვის ემზადეთ, ხალხნო!

**28. XI. 89.**

**რედაქციისაგან:** **სრულიად ვეთანხმებით და ვიზიარებთ წერილის ავტორის მოსაზრებებს და კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ მგონი ნელ-ნელა წარსულს ბარდება „დიდი დღესასწაულების ეპოქა", ჩვენი „წარმატებების" აღმნიშვნელი გულისამრევი თეატრალიზებული სანახაობები; ისტორიის სანაგვე ყუთში ვყრით ბევრ ლოზუნგსა თუ „მესაჭეთა" პორტრეტს (კიდევ რამდენია ჩასაყრელი!), მაგრამ დავიწყება არ შეიძლება იმისა, რომ ბევრი, ძალზედ ბევრია კიდევ ჩვენს გვერდით ისეთი ამხანაგი, ასე რომ ენატრება „გარდასულ დროთა აღმშენებლობითი რომანტიკა", პომპეზურ მოედანზე მკერდდამშვენებულთა (ვის და რის სამსახურში?!) კოლონების ვაშას გრიალი (რისა და ვისი გამარჯვების აღსანიშნავად?!). შესაძლოა ჩვენი ეს პუბლიკაციაც რწმენის დაკარგვაში ჩაგვითვალონ (როგორც ეს აღნიშნა ერთმა უფროსმა ამხანაგმა ერთ-ერთი მაღალი რანგის შეხვედრაზე). მათ დასამშვიდებლად ვიტყვით, რომ კი არ დაკარგა ახალგაზრდობამ რწმენა, არამედ ახლა იბრუნებს მას, ვიბრუნებთ იმის უფლებას, რომ, როცა გვემხიარულება, მაშინ ვიმხიარულოთ, დროშაც ჩვენი სურვილით ვაფრიალოთ და მკერდზეც სამშობლოს სამსახურში მიღებული ჯილდოები მივიბნიოთ; და მგონი იმის დროც დადგა, ყველა ჩვენთაგანმა მეტი მორიდებით შეაფასოს საკუთარი „ღვაწლი" და დამსახურება ხალხის წინაშე.**

# მიმართვა ქართველი ერისადმი

[illegible]

წყლის დასხმად". ამგვარი განცხადება და პრესაში მისი გამოქვეყნება მიგვაჩნია შეუწყნარებლად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო განმარტება იმ მიზეზებისა, რამაც გამოიწვია ამ პირებისა და ორგანიზაციების ასეთი ნაბიჯი, საჭირო იყო აგრეთვე პარალელურად გამოქვეყნება ჰელსინკის კავშირის განცხადებისა, სადაც ახსნილია ეს ყოველივე.

საქმე ის არის, რომ ფორუმის ზოგიერთი წევრი ვერ აღმოჩნდა სათანადო ზნეობრივ დონეზე და მათგან ეროვნულ მოძრაობას ემუქრება დისკრედიტაციის დიდი საფრთხე. უმთავრესი მიზეზი ჩვენს მიერ ფორუმის დატოვებისა იყო სკანდალური ინციდენტი, სროლა ფორუმის მიმდინარეობის დროს, ტერორისტული აქცია, რომელიც მიმართული იყო ფორუმის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგ. **მიუხედავად ჩვენი კატეგორიული მოთხოვნისა, ფორუმის წევრთა ერთი ნაწილი თავს იკავებს ამ აქციის პოლიტიკური შეფასებისაგან და მის მომწყობთა წრილობით, საჯაროდ მხილებისაგან, თუმც კარგად უწყის მათი ვინაობა.** ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე დღეს, 24 აპრილს, ფორუმის სხდომაზე და მიტინგზეც ი. წერეთლის მიერ ეს პიროვნებები სიტყვიერად დაგმობილ იქნენ და გამოცხადდნენ ეროვნული მოძრაობის მტრებად.

ყოველივე ამაში გამომჟღავნდა ეროვნული მოძრაობის განადგურების მცდელობა კორუმპირებული მაფიის მიერ, რომელსაც ფარულად წარმართავს ოფიციოზი. რამდენ სავალალოა, რომ ამ მაფიამ ფორუმშიც მოახერხა შეღწევა! აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე საბოლოო მიზნად ისახავს საქართველოში სამოქალაქო ომის პროვოცირებას და საგანგებო მდგომარეობის შემოღებას, რასაც დიდი ხანია ამზადებს კრემლი, რათა ჩაახშოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ასე რომ, ეროვნული მოძრაობის ერთიანობას ფორუმიდან ჩვენი გასვლით კი არ ემუქრება საფრთხე, არამედ ორგანიზებული ტერორიზმისაგან, რომელსაც ჩვენი ერის უბოროტესი მტრები უპირისპირებენ ეროვნულ მოძრაობას და მის წარმომადგენლებს.

ეროვნული ფორუმი არ უნდა იყოს თავშესაფარი ტერორისტებისა, იგი არ უნდა უწყობდეს ხელს მათ ბოროტმოქმედებას თავისი წაყრუებით და არ უნდა ჰქონდეს ალიანსი მათთან. მხოლოდ ამგვარი საგანგაშო მოვლენების დაგმობით და [illegible] ზნეობრივი დონით შესძლებს იგი იმ მისიის აღსრულებას, რომელიც მან დააკისრა საკუთარ თავს.

უნდა განვაცხადოთ აგრეთვე, რომ ფორუმის განცხადებაში არასრულადაა ჩამოთვლილი ფორუმიდან გასული პირები, მიჩქმალულია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ფორუმის 13 წევრმა ხელი არ მოაწერა ხსენებულ განცხადებას. ამდენივე წევრი უკვე გასულია ფორუმიდან, ხოლო განცხადებას ხელს აწერს 20 წევრი, ე. ი. ფორუმის წევრთა პირვანდელი შემადგენლობის უმცირესობა. ხელისმომწერთა შორის არიან აგრეთვე ამ ტერორისტული აქციის მომწყობნი.

ჩვენ მივმართავთ ქართველ ერს, ჩვენს საზოგადოებრიობას, ეროვნული მოძრაობის ყველა ჭეშმარიტ აქტივისტს, აღიმაღლოს ხმა, რათა აღიკვეთოს ტერორისა და ძალადობის ახალი ფორმების გამოყენება ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ.

1990 წ. 2 მაისი.

**1. ზვიად გამსახურდია**
**2. თეიმურაზ ჟორჟოლიანი**
**3. ავთანდილ რცხილაძე**
**4. თეიმურაზ ჟორჟოლიანი**
**5. თენგიზ კიტოვანი**
**6. გიორგი ხონელიძე**
**7. ზურაბ პეტრიაშვილი**
**8. ვაჟა ადამია**
**9. შალვა ჭიკლაური**
**10. თედო პაატაშვილი**
**11. გიორგი ხოშტარია**
**12. არკადი მარკოზია**
**13. რევაზ კემულარია**
**14. ჯემალ გოგეთიანი**
**15. ერეკლე სალლიანი**
**16. ალეკო მელაძე**
**17. თენგიზ კიკალეიშვილი**
**18. თენგიზ მანაგაძე**
**19. თენგიზ სიგუა**
**20. დათო ანდღულაძე**
**21. ამირან კალაძე**
**22. მირონ ხერგიანი**
**23. თემურ ლორთქიფანიძე**
**24. თენგიზ დიხამინჯია**

**საზოგადოებაში** შემოსულია სოფელ კაკაბეთის „წითელი ოქტომბრის" სახელობის კოლმეურნეობის მოიჯარე მევენახეების, მეცხოველეებისა და ავტოპარკის მუშაკთა კოლექტიური განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: „როცა მოთხოვნები და ხელმოწერები მზად გვქონდა, გავეცანით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 15 მარტის № 108 დადგენილებას „კარტოფილის, ხილ-ბოსტნეულის პროდუქციისა და სუფრის ყურძნის ზღვრული შესასყიდი და საცალო ფასების შესახებ".

ჩვენი აღშფოთება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ტექნიკური ჯიშების, ყურძნის, კერძოდ, კახელი გლეხის იმედის — „რქაწითელის" ფასი არ გაიზარდა.

მართალია, არც საზამთროა იოლი მოსაყვანი, მაგრამ მისი ფასის 15 კაპიკიდან 35 კაპიკამდე გაზრდა ვენახს სასიკეთოს არას უქადის... ახლა მოგმართავთ დახმარებისათვის, განა იმის დროა, კარსმომდგარი საგაზაფხულო სამუშაოების წინ სოფელს მოედოს გაფიცვები? რა ვიღონოთ?...

...მოვითხოვთ არა მარტო ყურძნის, არამედ ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების მომატებას, მატერიალურ საშუალებებზე ფასების გაზრდის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ვაცხადებთ საიჯარო ობიექტებზე მოწეული პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვაზე".

განცხადებას ხელს აწერს კოლმეურნეობის 12 ბრიგადის 262 წევრი.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა დამაფიქრებელია. ჩვენს გლეხობას კარგა ხანია აწუხებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით კი, ყურძნის შესასყიდი ფასების სტაბილურად გაყინული დაბალი დონე. ამ ვითარების დიდი უარყოფითი მხარე გახლავთ ის, რომ ფაქტობრივად გაუფასურდა გლეხის ალალი შრომა, ეკონომიკური სტიმულირების დონის დაქვეითებამ შეაფერხა სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარება. წლების მანძილზე ყურძნის შესასყიდი ფასის გაყინვამ გამოიწვია არაჯანსაღი ტენდენციები მევენახეობა-მეღვინეობაში და რესპუბლიკის ეკონომიკის ეს მნიშვნელოვანი დარგები დეგრადაციის საშიშროების წინაშე დააყენა.

# სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განცხადება

კაკაბეთელ სოფლის მშრომელთა შეშფოთება სამართლიანი, ყურადსაღები და გასათვალისწინებელია. საზამთროს შესასყიდი ფასის გაზრდა, ამავე დროს ყურძნის შესასყიდი ფასის ადრინდელ დონეზე დატოვება ახალ უბედურებას უმზადებს ჩვენს ზვრებს: უფრო მეტად გახშირდება ჩვენი ისედაც გავერანებული ზვრების აჩეხვა. ყურძენთან შედარებით საზამთროსათვის შესასყიდ ფასში უპირატესი როლის მინიჭება ამ სავალალო შედეგის მომასწავებელი იქნება. სასუფრე ყურძნისათვის შესასყიდი ფასის მომატება საქართველოს მევენახეობის ეკონომიკას დიდად ვერ დაეტყობა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენს ზვრებში სასუფრე ყურძნის ხვედრითი წილი უმნიშვნელოა. ეს ისევ იმ კერძო სექტორს გაამდიდრებს, რომელიც სასუფრე ყურძნის მოყვანას მისდევს.

სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით ტექნიკური ყურძნის შესასყიდი ფასების საკითხი იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რასაც სოფლის მშრომელები ითხოვენ, ფასების რეგულირებაც ხომ ჩვენი სოფლის ფერისცვალების ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია.

დრო არ ითმენს. ვიდრე კაკაბეთელთა ჩივილი პროტესტის უკიდურეს ფორმებში არ გადაზრდილა, მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს. ამ საკითხის მოუგვარებლობამ შეიძლება სოციალური მოძრაობის წარმოშობა და განვითარება გამოიწვიოს, რაც არასასურველ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ეროვნული მოძრაობისათვის. სოფლად ამჟამად მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებები, მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრების პროცესიც სოციალური მოძრაობის წარმოშობის შიშის საფუძველს ქმნის. სოფლად მიმდინარე ცვლილებების მნიშვნელოვანი და რთული პროცესი არავითარ შემთხვევაში ქაოსურ მოძრაობად არ უნდა იქცეს. მას გონივრული და მიზანსწრაფული მართვა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სადღეისოდ სამართავი პროცესები შეიძლება ხვალ ძნელად სამართავი ანდა უმართავიც კი გახდეს.

მოვუწოდებთ შესაბამის ინსტანციებს, დროულად გადაწყვიტონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით კი ტექნიკური ყურძნის შესასყიდი ფასების საკითხი ჯიშების, ზონებისა და საბოლოო პროდუქტის — ღვინის ხარისხოვნების მიხედვით. შევუქმნათ სოფლის მშრომელს მშვიდობიანი, გარანტირებული, თავისუფალი შრომის პირობები.

**სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია.**

# მჯდომარე აქცია უშგულში

**უკვე** მეექვსე დღეა, რაც მესტიის რაიონში, ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დასახლებაში — უშგულში, სასოფლო საბჭოს შენობაში, მიმდინარეობს მჯდომარე აქცია. მასში მონაწილეობს 58 კაცი (აღსანიშნავია, რომ სოფელ უშგულში სულ 56 კომლი ცხოვრობს).

რას მოითხოვენ აქციის მონაწილეები?

1. სოფლის თვითმმართველობაზე გადასვლას, ანუ განთავისუფლებას რაიონის დიქტატისაგან;

2. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დაშლასთან დაკავშირებით:

ა) მოსახლეობაში მყოფი მეურნეობის პირუტყვის ხალხისათვის უსასყიდლოდ გადაცემას,

ბ) მიწის რენტის საკითხის სოფელშივე გადაწყვეტას;

3. უშგულში არ არის სკოლის კაპიტალური შენობა, მწირია ბიბლიოთეკის ფონდი, აკლიათ სასკოლო სახელმძღვანელოები; აქედან გამომდინარე, აქაურ მოსწავლეებს არა აქვთ სწავლა-განათლების ელემენტარული პირობებიც კი, ამიტომ მოითხოვენ სკოლის კაპიტალური შენობის სასწრაფოდ აშენებას, სახელმძღვანელოებით თუ კლასგარეშე მხატვრული ლიტერატურით ბიბლიოთეკის უზრუნველყოფას;

4. უმძიმესი ბუნებრივი პირობების გამო სოფელი ხშირად რჩება გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი, რის გამოც მოითხოვენ:

ა) სოფლის სიახლოვეს გამავალი თბილისი-მესტიის მარშრუტზე ყოველდღიურად მფრინავი შვეულმფრენი კვირაში ერთხელ მაინც ჯდებოდეს უშგულშიც.

მჯდომარე აქციას ატარებს უშგულში ახლახან შექმნილი სოფლის აღორძინების საზოგადოების ნაფიცთა საკრებულო. უახლოეს ხანში ნაფიცთა საკრებულო ჩაატარებს სოფლის ყრილობას, რომლის ამსახველ ვრცელ მასალას „ახალგაზრდა ივერიელის" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

**საკუთარი ინფორმაცია**



„ახალგაზრდა კომუნისტის"

# ილიკო & ილარიონი

სატირისა და იუმორის კლუბი



## რას ვზეიმობთ 9 მაისს?

### ღია წერილი ომის ვეტერანებს

თუ ვინმეს ჩემი, ბებიას, ილიკოსა და ილარიონის ამბები წაგიკითხავთ, გეხსომებათ, სკოლაშივე რომ დამაწყებინა ლექსების წერა სიყვარულმა. მაგრამ სიყვარულამდე ჯერ ომის თემაზე დავწერე პირველი ლექსი:

„საზიზღარი გერმანია
გადმოვიდა ჩვენს საზღვრებზე,
მაგრამ ფეხს ვერ მოიკიდებს
ჩვენს მშვენიერ მიწა-წყალზე!
ჩვენი გმირები დასცხებენ
ზარბაზნებით, თოფებით და
ტანკებით,
თუ საჭირო შეიქმნება,
მტერს მეც ყელში დავეტაკები".

ისიც გახსოვთ, ალბათ, როგორ შემიფასეს ეს ლექსი: — ძალიან ხმამაღლაა დაწერილი! — თქვა ილარიონმა, ნახევარსაათიანი პაუზის შემდეგ.

მე ვერ მივხვდი მაშინ, რას ნიშნავდა „ხმამაღლა დაწერილი", თორემ ილარიონმა მშვენივრად იცოდა, რასაც ამბობდა. ვინ იცის, ეგება ეღიმებოდა კიდევაც გულში ჩემი ქადილის მოყურადეს, მაგრამ მე მაშინ მეტი არც მომეთხოვებოდა: რასაც ჩამძახებდნენ სკოლაში, იმას ამოვიძახოდი. სკოლაში კი, იცოცხლეთ, არ გვაკლდა შეგონებები: საბჭოთა კავშირი მშვიდობის მედროშეაო, სტალინი — ყველა მშრომელი ხალხის ბელადიო; გერმანია პირსისხლიანი ჯალათია და ჰიტლერი — ტყიდან გამოვარდნილი ნადირიო. რა არის გასაკვირი, მეც რომ მქონოდა თავი გადადებული მტრის ყელში სატაკებლად!

დიდი ხნის მერე გავიგე მხოლოდ, გერმანიაში რომ იგივეს ასწავლიდნენ თურმე იმ დროს, ოღონდ პირიქით: გერმანია ხალხთა თავისუფლების დარაჯია და საბჭოთა კავშირში კაციჭამია ველურები ცხოვრობენო.

ახლა კი მესმის, რომ არცერთი მხარე არ ცდებოდა მაშინ, მაგრამ საკუთარი თავის კი არა — ერთმანეთის შეფასებაში. თან იდეოლოგიაც ისე ჰქონდათ თვალის ასახვევად მოგონილი, კომუნიზმი და ფაშიზმი, რომ თავიანთ ნამდვილ მიზნებს ფარავდნენ, თორემ ჯერ ხომ ნახევარი ევროპა გაიყვეს და მერე ერთმანეთს დაერივნენ მთელ მსოფლიოში მბრძანებლობისა და ბატონობისათვის.

რა უნდოდა იმათ ომში პატარა საქართველოს? ეს ამბავი რუსეთმა იცოდა ყველაზე უკეთესად: ოცი წლით ადრე ჯერ სიმწრით მოპოვებული თავისუფლება წაართვა ხელმეორედ და ახლა იარაღი მისცა ხელში: მიდი, იომე, თორემ შემოვა გერმანია და დედაბუდიანად აგყრის და გადაგასახლებსო. კაცმა არ იცის, მართლა რას იზამდა გერმანია, ის ომი რომ მოეგო და — კეთილი დამპყრობელი ჯერ არ დაბადებულა ქვეყანაზე, მაგრამ ნიკიტა ხრუშჩოვს რომ სულ არ დასჭირვებია გერმანელები, ციმბირში რომ დაგვიპირა გადასახლება, გამოცდილი გვაქვს ეს ამბავი და არ უნდა იყოს დიდი განსხვავება, მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ტურა.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ამ უმადური და დაუმადლებელი ხალხის გულისთვის თუ ღირდა მეთქი, რომ გაწყდა უამრავი ქართველობა?! ადრეც კი დაღვრილა ისტორიის ბნელ პერიოდებში ჩვენი სისხლი ხან არაბებისათვის, ხან მონღოლებისთვის და ხან სპარსელებისთვის და ისე დაიღვარა ახლაც რუსებისათვის...

ჩემი სიკეთის არ იყოს, ბევრი ქართველიც იმგვარად იყო აღზრდილი მაშინ, არ იცოდა, თავისი მტრისა და დამაქცევარის სამშობლოსთვის რომ იბრძოდა, თორემ ეგება არ გაემეტებინა თავი ასე უსაშველოდ. თუმცა, არც ვიყო მართალი ეგება, — ვის გვერდითაც არ უნდა ეომა, ქართველი თავს მაინც არ დაზოგავდა და სახელს არ შეირცხვენდა ალბათ. იმიტომ იყო, ყველა მესამე რომ დაეცა ბრძოლის ველზე. ხამასი ათასი ქართველის სიცოცხლე გამოგვეცალა — ღმერთო, გაანათლე მათი სული! ღმერთო, დღეგრძელობა მიე ცოცხლად გადარჩენილებს! და სწორედ მათ, იმ ტყვიის ქარ-ცეცხლგამოვლილებს მინდა მივმართო ახლა:

ჩემო ბიძიებო და ბაბუებო!

თუ დაკვირვებიხართ, რატომაა, ბალტიისპირელების ეროვნული მოძრაობა რომ წინ უსწრებს ჩვენსას? უბრალო მიზეზია სრულებით: იმ მოძრაობას ძველი თაობის ხალხი უდგას სათავეში და ის ადამიანები, თავისუფალი რომ იყო მათი ქვეყანა, მაშინ არიან დაბადებული და გაზრდილი. იგივე თაობა ჩვენთან შიშსა და მონობაშია გამოტარებული და მონობაში გაზრდილ კაცს რა მოეთხოვება?

მაგრამ წინაპრებიდან გამოყოლილი ხსოვნა მონასაც ალვიძებს ხანდახან და თავის მონურ მდგომარეობას რომ ვერ შიმხვდარიყვნენ, სხვებთან ერთად ქართველებსაც მოუგონეს სატყუარა: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს „საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა" დაარქვეს, რუსეთის იმპერიას — „საბჭოთა კავშირი" და თავიანთ დამპყრობლურ ომს „სამამულო ომის" სახელი უწოდეს ყველა ხალხისათვის.

დაიჯერა ეს ამბავი ბევრმაც ჩვენში და სჯერათ ასე დღემდე, რომ „სამამულო" იყო მათთვის ეს ომი. იმაზეც კი არ დაფიქრებულან, რომ გაუგონარია სხვის მიწაზე მებრძოლ კაცს იმ მიწისთვის „მამული" დაეძახოს! „სამამულო" თუ იყო ვინმესთვის, ფინელებისთვის იყო ის ომი, მაგალითად, „სამამულო": ერთი მუჭა ხალხი უზარმაზარ ქვეყანას არ შეუშინდა და ფეხი არ შემოადგმევინა თავის სამშობლოში!

ჰოდა, რაღა გვქონია, აბა ჩვენ, ქართველებს, სალაპარაკო, თუ არც „მამული" ყოფილა ჩვენი და არც მტერი გვერჩოდა აქეთ მაინცდამაინც? ის არის იქნება საამაყო, ქართველი რომ იყო გამარჯვებული ქვეყნის მმართველი? თუ მარტო იმის ქართველობით მოგვწონს თავი და ეს თუა ომში მთავარი, მოვიწონოთ მაშინ თავი დანარჩენი ქართველებითაც, სხვა ხალხის სამსახურში რომ უშოვიათ სახელი და დიდება: პეტრე პირველით, მაგალითად. მასაც ქართული სისხლი ჰქონდა, ერეკლე პირველის ვაჟს და სტალინივით ისიც რუსეთს ედგა სათავეში; ან, შამილით, თუ გნებავთ, დაღესტნის იმამით: ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო ძე იყო და ოცდახუთი წლის მანძილზე მარტოდმარტო ებრძოდა რუსეთის იმპერიას. ან, პეტრე ბაგრატიონი ავიღოთ, დიდი მხედართმთავარი, რუსები მაინც არაფრად აგდებენ: ნევის პროსპექტზე, ლენინგრადში, კუტუზოვის და ბარკლაი დე ტოლის ძეგლებია წამოჭიმული და პეტრე ბაგრატიონი აგერ გვიდგას, თბილისში, თითქოს ერთხელ მაინც გაექნიოს ხმალი თავისი ერის სასიკეთოდ.

მაგრამ გიჭირთ თქვენ, ჩემო ბაბიძიებო და ბაბუებო, „სხვისა" და „საკუთარის" გარჩევა და „დიადი გამარჯვების" და ბელადის სახელს ადვილად ვერ თმობთ! იმიტომაა, საზოგადოება „სტალინი" რომ შექმენით და დღეს ერთადერთ ორგანიზაციად ითვლება საქართველოში, მტრის ბანაკში რომ უდგას ფეხი! მთელი ერი გამოყოფაზე ფიქრობს საბჭოთა კავშირიდან და თქვენი „სტალინით" ისევ იმ კავშირის განახლებაზე ზრუნავთ, იმპერიის ნანგრევებზე რომ ააშენა ბელადმა.

იმიტომაც გიპოვათ თავის დასაყრდენად „ინტერფრონტმა". ჯერ დაფუძნება ვერ მოუსწრიათ ჩვენთან და უკვე ირწმუნებიან: „ქართველებიც ბევრნი იზიარებენო ჩვენს მოსაზრებებს". თქვენი იმედი აქვთ და ის ათამამებთ. დაჯალდებულადაც მიაჩნიხართ, ეტყობა, აბა, ტყუილად ხომ არ გაგიხსნიდნენ ვეტერანთა მაღაზიებს და მოგამარაგებდნენ ტანსაცმლისა და კვების ტალონებით! არ გაცდუნონ ამით, ბიძიებო და ბაბუებო!

სადაცაა მოვა 9 მაისი და ომში გამარჯვებას იზეიმებს იმპერია. უნდათ, რომ თავის სამსახურში ამოგიყენონ თქვენც ამ დღეს: „ინტერფრონტი" მართავს ვაკის პარკში მიტინგს და თქვენი მხარდაჭერის იმედი აქვს. „ვაშა" და „ურა" სურთ გაძახებინონ და შეგარისხინონ ეროვნული მოძრაობა. ამ ერთხელ მაინც დაუჯერეთ თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს და ნუ ჩადგებით ჯერ — „ინტერფრონტის" რიგებში და მერე — შთამომავლობის ცოდვაში. ამ ერთ დღეს მაინც ნუ ჩაიცვამთ თქვენს საპარადო კოსტუმს, ზედ იმ არმიის სამსახურში მიღებული ჯილდოებით, ქალები და ბავშვები რომ დაგვიხოცა 9 აპრილს. გაბედეთ და „ინტერფრონტის" ჯინაზე 9 მაისს გულზე დაბნეული დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშით მოდით ვაკის პარკში. მტერს ნუ გავახარებთ — თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე ერთად ვიაროთ საქართველოს ყველა თაობამ!

თქვენი ზურიკელა

## კლუბის ფოსტა

### ცინცხალი ამბები

ქალაქის მრავალმა საწარმო-დაწესებულებამ წარმატებით იზეიმა ძლევამოსილი საბჭოთა არმიის დღე — 23 თებერვალი. ძირითადად რუსულენოვანმა მანდილოსნებმა ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად მამაკაცებს სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს და სამისები შამპანურით შეუვსეს. გულაჩუყებულმა ქართველმა რაინდებმა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს მრავალი ეპითეტით შეამკეს, დალოცეს, ჯანმრთელობა და ბედნიერება უსურვეს და, რა თქმა უნდა, სარვამარტოდ სამაგიეროს ორმაგად მიზღვა აღუთქვეს. დანაპირები სისრულეშია მოყვანილი.

●

ქალაქის ტურისტული ბაზის დირექტორმა მუშა-მოსამსახურეთა პერსონალის თათბირზე ასე ახსნა დამსვენებელთა ნაკლებობა:

— ქართველებმა ჩვენივე უზნეობით დავამცირეთ რუსი ხალხი, აღარ ჩამოდიან ბატონო; ეს იმიტომ, რომ აწყობენ მოცლილები მიტინგებს, გაჰყვირიან: თავისუფლება გვინდა, თავისუფლებაო, ვითომ ახლა დაბმულები არიან? თუ არ ჩამოვა რუსი ხალხი, დაიხურება ჩვენი ტურბაზა და დავრჩებით ხახამშრალი. მაგენს რა ენაღვლებათ, შვეიცარიის ბანკი ავსებული აქვთ ფულებით, ჩვენ·ისევ რუსებს უნდა მოვეფეროთ, ქართველებზე მეტად ისინი შეგვიცოდებენ!

კომენტარი. უნდა დავუჯეროთ ამ დირექტორს: ცოდვაა რუსეთი შავი ზღვის გარეშე. თუკი ისინი გვარჩენენ და გვამარაგებენ პურით, ხორცით, კარაქით, შაქრით, ხიზილალით, შავი ზღვა როგორ უნდა დავუკავოთ?

●

ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელი ბავშვებს უხსნიდა ქრისტეს მოძღვრებას და ათი მცნებიდან ერთი — „არა კაც ჰკლა" ასე აუხსნა მოსწავლეებს: — არაკაცები მოკალითო. მოსწავლეები მასწავლებლის აღმოჩენით ფრიად ნასიამოვნები დარჩნენ.

საკუთარი ყურით მოსმენილი ცინცხალი ამბები ჩაიწერა **მარინე ბოლქვაძემ**
(ბათუმი)

## მზის მწვანე შუქი

გიორგიმ ბაბუა გააბრაზა.
— რა გინდა, ბოლოსდაბოლოს?
— გაუჯავრდა ბაბუა.
— რა მინდა და დამოუკიდებელი საქართველო მინდა. — დაუფიქრებლად უპასუხა გიორგიმ.

(3 წლის **გიორგი ჭიჭინაძე**, თბილისი).

●

გასული წლის აპრილი: თბილისში კომენდანტის საათია. დედა აძინებს ლევანს. უეცრად ლევანი ზე ჭამოიჭრება და ნახევრად მძინარი ამბობს:
— არ ვიცოდით, რა იყო დემოკრატია, არ ვიცოდით, რა იყო ტანკები...

— მერე? — შეეკითხა დედა.
ლევანმა ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა და თქვა:
— აგერ, დაგვანახვეს ტანკებიცა და დემოკრატიაც! — ჩაწვა ლოგინში და დაიძინა.

(4 წლის **ლევან რობაქიძე**, თბილისი).

●

ნათიას ზედმეტი სიცელქით ბებია შეწუხდა და დააშინა, ეხლავე მილიციას დავურეკავ და მოვაო.
— მილიცია, ბებო, ოსეთშია წასული, — მშვიდად თქვა ნათიამ.

(4 წლის **ნათია ენუქიძე**, ბალდადი).






დღეს კარლ მარქსის დაბადების დღეა. წლევანდელ მორიგ იუბილეს განსხვავებულად აღნიშნავენ ახალი რელიგიის შემოქმედის სამშობლოში (იხ. სურათი მარცხნივ, გდრ-ის ჟურნალ „ოილენშპიგელიდან"), ჩეხეთში (იხ. სურათი მარჯვნივ), ხოლო ამ წარწერის ზემოთ მოთავსებული ნახატი უნგრული ჟურნალიდან, „ლუდაშ მატიდან" გახლავთ, სადაც წარმოდგენილია, თუ როგორ იცავს მთელი სოციალისტური ბანაკის კარს ეს ჩაუქი მეკარე.

მასალები მოგვაწოდა **ნიკა სიმონიშვილმა**

## ვიოლას სალონი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სატირული ლირიკა

### ჰაი, დედასა!

**აფხაზეთსა და შიდა ქართლში მოჩვენებითი სიმშვიდეა. აფსუა და ოსი ექსტრემისტები მაინც არ ცხრებიან...**

**(გაზეთებიდან)**

ოსო-აფსუავ, რა გინდა
შემოხიზნულო სხვა მხრიდან?
მე ერთი მქონდა მიზანი —
გადამერჩინე ხიზანი.

სახლი არ გქონდა, გაგიღე,
როგორც ძმას, მოსულს ძმისასა;
ლოგინ-საწოლი დაგიგე,
გირჩევდი ბუმბულისასა.

პური არ გქონდა, გაჭმიე,
გირჩევდი თავთუხისასა,
ხორცი არ გქონდა, გაჭმიე,
გირჩევდი ხოხობისასა;
ღვინო დაგისხი, გასმიე,
გირჩევდი ბადაგისასა.

გულღიად გადმოგიშალე,
გუჯარ-წიგნი და ანბანი,
ჩემს სალოცავში შეგიშვი,
წმინდა ემბაზში გაგბანე.

ბნელეთში ვერ ჩაგტოვე და
გადმოგიწვდინე ლამპარი;
დედის ენაზე გასწავლე
სიტყვა, ლექსი და ზღაპარი.

გეალერსე და გეფერე,
მე გლოცე, შენ კი მაჯავრე.
ჩემს კვერში ნალეს-ნაკურთხი,
ზურგში ჩამეცი ხანჯალი.

ვაგლახ რომ ვერ შეგიცანი,
ყოფილხარ მზაკვარ-ტიალი,
მე დამგმე, ძმობა ირწმუნე,
უპირო გადამთიელის.

ენა, რწმენა და გონება
„იმას" მიუძღვენ ნობათად,
მითხარი, სამაგიეროდ,
რა გიბოძა და მოგართვა?!.

ჩემი ეზო და მიდამო,
მამა-პაპური ნაკრძალი
უსირცხვილოდ და უტიფრად
ჩრდილო მხარეს რომ დასძარი,

მიწაზე რომ მედავები,
დამინთე ცეცხლი-ხანძარი,
ერთიც მიჩვენე მამულში,
შენგან ნაგები ტაძარი.

„ძველი ვართ, კულტუროსანი..."
ამას მოსთქვამ და ლალადებ;
სჩნებ შემოგრჩა ნაკალში,
ხეზე, ქვაზე ან ქალალდზე?

„ნართებს" იჩემებ, არ იცი,
ვისგან ისესხე, გადიღე;
რას ეუბნები ჩერქეზებს,
ყაბარდოელს თუ ადიღელს?

ყრილობაზე რომ გვიტევდნენ,
სიხარულს ველარ მალავდი:
ლამის სიმღერა დაგეწყო,
ისე ამჩატდი, გალაღდი.

ჭკვიანმა დეპუტატებმა
ყრილობას ზურგი აქციეს,
შენ განაგრძობდი მჯდომარე
ოსურ-აფსუურ აქციებს.
სხვებმა რო ერთხმად დატუქსეს,
შენ ტაშს უკრავდი კატუსევს.

მაგრამ, რას იზამ, „დიდმა ძმამ",
ველარ გიჩვენა გულია,
თვისტომის დამგმობ-გამცემი,
ბუნებისაგან კრულია.

ჯალათის სულმოკლეობამ,
ჰაუ, მიგდენა სადამდე!
აკვანს ესროლე, ო, ღმერთო,
სისხლი ჩუხჩუხებს ცათამდე!

საფლავში ჩააბინძურე,
მამა-პაპანი, დედანი:
მიუხვალ დამდაბლებული,
დალაჩრებული, ცვედანი.

„ჰაი, დედასა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა",
მაგრამ დიდია უფალი, —
ნათქვამი არის ძველადა,
ვინც მტერ-მოყვარეს ვერ არჩევს,
საქმე წაუვა ბნელადა,
ბოლოს ისევ მე დაგრჩები,
გიდამრჩენ-გამომხსნელადა!

**გიზო ჟელიძე**

### ტურიკო

(იგავ-ზღაპარი)

ლომმა — მფლობელმა ჯუგნლების
ტურას აჩუქა ქალაქი
საყოველთაო უფლებით —
ასე იწყება არაკი.

ტურა სულელი ეგონათ
მგელს, დათუნას და მრავალთა,
ტურამ ქალაქის მცხოვრებლებს
თუ რა სეირი დამართა,

ამაზე ქვემოთ გვექნება
საუბარი და მტკიცება,

ერთი კია, რომ გაჩაღდა
ქალაქში ალებ-მიცემა.

რომ დაიჩრდილა მანამდე,
ყველა ვინც იჯდა პირველად...
ამ უწიგნურმა ტურიკომ
ყოველთა გასაკვირველად

აშენა გზები, ხიდები,
კაფა ხეები მაღლები,
და დაურიგა სატურეთს
სამსახურები, სახლები.

ჩამოიშორა ვინც ნიჭით
მის დიდ ქალაქში ელავდა,
და ასე გახდა ეს გლახა
საყოველთაო ბელადად.

გემიც კი ჰყავდა, როდესაც
აღარ აწყობდა ნავებს;
მოკლედ: გაავსო ქალაქი
თავისი ნათესავებით.

ყველა გაჭორა — მათ შორის
ჯიბრში ჩაუდგა პოეტებს,
და აცხადებდა საქვეყნოდ
უცნაურ მიეთ-მოეთებს.

მორთო და მორთო ქუჩები
სხვა და სხვა ფერი ალმებით,
და გაამწვანა მიდამო
მეფის საყვარელ პალმებით.

მეფეც წავიდა ტახტიდან
(ჟამი აქვს ყველა მეფობას),
და ტურამ ლანძღვა დაუწყო
თავის მამას და მეგობარს.

სხვა დრო მობრძანდა: ატირდა
ეს ჰკუათხელი ტურიკო,
იძლევა ბინებს, მანქანებს,
სხვა და სხვა ავეჯს ურიგოდ.

შეეკრა ტყის ქურდბაცაცებს —
რა უნდა იმათ ცდუნებას,
და მოინდომა საბრალომ
ქალაქის შენარჩუნება.

შე ჰკუათხელო ტურიკო,
შე ბაცაცების ძმაკაცო,
ის ტყავი, რაც შეიძინე
ცხოვრება ისევ გაგაძრობს.

შენი დევიზი ეს იყო
(თუმც ეს დევიზიც რთულია),
რასაც წაგლეჯავ შენია,
რაც არა — დაკარგულია.

ვამთავრებ არაკს ნახევრად
მალე იხილავთ დანარჩენს,
როცა პატარა ტურიკოს
გამოუტანენ განაჩენს.

**ჯემალ ჩახავა**

### ფუნქციონერი

გადაგასწავლოს თუმც სიკეთე — მრავალი ლამობს,
უცხოზე მეტად შენსას მიაქვს ლუკმა მსუქანი,
ისე გლალატობს, ისე დადის და ზაირამობს
თითქოს სამშობლო მისთვის იყოს საქოს დუქანი...

როცა სხვა გჯაბნის, სხვა გიჯღანავს ჯლანს უქონელის,
ზურნით სხვა გვილხენს, სხვისი ხელი გვითლის კუბოსაც,
ხშირად, იმ მშოვნელს, მოუპირავს, მომხვეჭს ქონების,
შენი სისხლ-ხორცი დირიჟორობს, უზის უფროსად...

**იმერი ხრეველი**

## ოთხპირიანი ზმნა

### ქართული ენის ახალი განმარტებითი ლექსიკონი

## წ

**წაბლნარი** — 1. ეკლებით დახვარული წაბლის ხე, 2. წაბლის ხისგან გათლილი სატუსაღო საწოლი
**წავიწყებული** — ჩარიგებული წავები.
**წამალი** — 1. (არქ.) ჩქარა წადი, 2. ელჭექი
**წამვლა** — წამში გავლა
**წამსგავსება** — ერთ წამში გავსება (რაიმესი)
**წამწამი** — ორი წამი
**წარმავალი** — (ზოოლ.) არაქვეწარმავალი ცხოველი
**წალება** — (დიალ. კახ.) წალზე ჰქონდა მიბმული
**წაყენებით** — შენი ნებით წაჰყევ
**წერაქვის** — ქვისგან ტრავმირებული
**წესიერი** — კანონების მოყვარული ერი
**წვრილმანი** — (თანამ. სასაუბრო) ხურდა ფული
**წვრილშვილი** — გამხდარი შვილი
**წიგნიერი** — წიგნის გარეგანი სახე
**წილისყრა** — 1. კუთვნილის გადაყრა, 2. ტილის გამრავლების პროცესი
**წინასწარმეტყველი** — საიდუმლოს ვერ შემნახველი
**წინდაწინ** — წინ დადებული წინდა
**წინდები** — წინ მყოფი დები
**წუთიერი** — ამქვეყნად დროებით მოსული ერი
**წყაროიანი** — იით მოფენილი წყარო
**წყობილება** — მოწესრიგებულად ება

ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობდნენ: **მანანა ალადაშვილი** (სიღნაღის რ-ნი, სოფ. ჯუგაანი), **ირმა** და **მაგული ბეგიაშვილები** (გარდაბნის რ-ნი, სოფ. კუმისი), **ალეკო გარაშვილი** (ახმეტის რ-ნი, სოფ. საკობიანო), **ნონა გაფრინდაშვილი** (საჩხერის რ-ნი, სოფ. სავანე), **თამაზ გვასალია** (რუსთავი), **ვასილ გულეური** (გორი), **ასმათ დეკანოიძე** (ოზურგეთის რ-ნი, სოფ. ოზურგეთი), **სოსო იმედაშვილი** (თბილისი), **ინგა კახიძე** (წყალტუბოს რ-ნი, სოფ. დღნორისა), **ნატო კერესელიძე** (გორი), **ტ. ლაცაბიძე** (ქარელი), **მაკარ მაქაცარია** (სოხუმი), **ნინო მესხიძე** (რუსთავი), **ნინო** და **თამთა მიქელაძეები** (ქუთაისი), **ლია მოსეშვილი, ლია ხითარიშვილი** (ვალე), **ჯაბა ნოზაძე** (დაბა აგარა), **ტარიელ უფლისაშვილი** ჩიათურის რ-ონი, სოფ. რცხილათი), **ზვიად ჭიჭიკოშვილი** (რუსთავი), **თინა ხაჩიძე** (გორი), **ბეჟან ხევიაშვილი** (გურჯაანის რ-ნი. სოფ. კოლაგი).

## საბჭოთა მთავრობის განცხადება

თბილისში გამოცხადდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები, რომელიც ჩატარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეგმით და მისივე კონტროლით. ამ არჩევნებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ კანონიერად და სამართლიანად მიჩნეული გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ეროვნულმა პარლამენტმა (სეპ), რომელმაც ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მიიღო.

არჩევნების შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ქართველი ხალხის უსაზღვრო ნდობა სეპ-ის მიმართ, რომელიც სათავეში უდგას სსრ კავშირის მიერ უკანონოდ ოკუპირებული სამშობლო-ქვეყნის ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობას.

საბჭოთა ხალხი, რომელიც მთელი ამ წლების მანძილზე ძმურ დახმარებას უწევდა ქართველ ხალხს თავის წმინდა ბრძოლაში, გულითადად ულოცავს სეპ-ს ამ დიდ გამარჯვებას. გადალახულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ზღვარი ევროპის კონტინენტზე უკანასკნელი კოლონიის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გზაზე. რამდენიმე თვის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ უნდა დაამუშაოს და მიიღოს თავისუფალი საქართველოს ახალი კონსტიტუცია და განსაზღვროს დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადების თარიღი. საბჭოთა კავშირში მაღალ შეფასებას აძლევენ იმ მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც საქართველოს დეკოლონიზაციის საქმეში მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მის თანმიმდევრულ ძალისხმევას ქართველი ხალხის კანონიერი უფლებების აღდგენის საქმეში. საბჭოთა კავშირში იმედოვნებენ, რომ რეგულირების პროცესში მონაწილე საქართველოს პოლიტიკური ძალები მომავალშიც გამოიჩენენ დიდ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა საქართველოს დეკოლონიზაციის პროცესი წარმატებით დაგვირგვინდეს და ამ ახალ სახელმწიფოშიც დამკვიდრდეს მშვიდობა, სტაბილურობა, ეროვნული თანხმობა. იმას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები სუვერენულ საქართველოში, უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია კონფლიქტურ სიტუაციებზე საერთოდ, კერძოდ კი პოლიტიკური მდგომარეობის რეგულირებაზე მთელს კავკასიაში.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, ახლაც ყველაფერს გააკეთებს ამ მიზნის მისაღწევად. ამისკე მოუწოდებს მთელი მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებრიობას.

**მინაწერი. ეს განცხადება დაიბეჭდა 1989 წლის 18 ნოემბერს გაზეთ „პრავდასა" და „იზვესტიაში". ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა შევცვალეთ: ნამიბია — საქართველოთი, ოკუპანტი სამხრეთ აფრიკა — სსრ კავშირით, ხოლო „სვაპო" — სეპ-ით.**
**გადმოაქართულა ამირან კალაძემ.**

## მეზობელი

**ძალიან** ჯიგრიანი ეზო გვაქ. თბილისი კი არა, სოფლის უბანი გეგონება: შვიდსართულიანი სახლი ერთი ოჯახივით ვცხოვრობთ. ტკბილად შეჭუკჭუკებული ვართ ერთმანეთში. მანქანა რო მანქანაა, იმის დაყენებაზეც არა ვჩხუბობთ. ჩვენ ჩვენი ადგილები ვიცით.

იმ მანქანებს შორის ჩელტით გაწყობილი ფაცხა გვიდგას. ვზივართ იმ ფაცხაში და დროს ვატარებთ: ხან დომინოს ვურტყამთ და ხან ნარდს ვაგორებთ. უქმეობით კაი პურსაცა ვჭამთ. ისე ვართ შეხუმრებულები, ნამდვილი სახელები აღარც გვახსოვს — მეტსახელები მოვუგონეთ ერთმანეთს და იმით მივმართავთ ხოლმე: არდამლიო, ჩამირჩინე, ბუდზდაროვა, ხაპერა და სხვა ასეთები.

როგორაც ჩვენ გვიყურებენ, შვილებიც ისეთები გვეზრდებიან. სწვებივით ნარკომანები ან ექსტრემისტები კი არ არიან: არც მორფს იკეთებენ და არც მიტინგებში მონაწილეობენ. სკოლის ასაკს გასცდებიან თუ არა, ჩვენთან ერთად ჩაის ჭიქა უჭირავთ ხელში და ამბობენ კაცურად სადღეგრძელოებს. ერთი სიტყვით, კარგი ეზო გვაქ, მაგრამ ბოლომდე აწყობილი ჩვენი სახლიც არ არი. ერთი-ორი უქმური ჩვენშიაც ურევია: შემოიპარებიან ეზოში, ერთს არ ჩამოჯდებიან ჩვენთან, ჭიქას არ აწევენ. გვყავს ერთიც ასეთი: მიდის თავისთვის, მოდის თავისთვის. შორიდან იტყვის „გამარჯობას", ეგ არის და. ეგ წინა გაზაფხულზე ცოტა დააკლდა, კინაღამ მთელი ეზო აგვიმხედრა. იმ დღეს იყო სწორედ, ექსტრემისტების გამოსვლა რომ მოხდა — 9 აპრილს.

ვზივართ ეზოში ჩვენთვის და დომინოს ვთამაშობთ. მოდის ეს ჩვენი მეზობელი, მოდის და მობარბაცებს. ჯერ მთვრალი გვეგონა. უცებ დაგვინახა, მოგვვარდა, დომინოს ქვებს დააცხრა, ერთმანეთში აურია და ძირს გადაგვიყარა. თან ხმამაღლა ყვიროდა: — ამას როგორ თამაშობთ, არა გრცხვენიათ, ახლა ამის თავი გაქვთო?

ადრე ბუზი არ აუფრენია და თვალებს არ ვუჯერებდით, შევყურებდით გაოგნებულები.

მერე, როგორც იყო, დამშვიდდა; ერთბაშად მოეშვა და ისევ ისე, ბანცალით აუყვა კიბეებს სახლისაკენ. გრძელტარიანი შავი დროშა გამოკიდა ბალკონიდან და მისი ფანჯრის იქით ვხედავდით, როგორ იჯდა თავზე ხელებშემოწყობილი. ერთი პირობა, საკადრისი პასუხის გაცემას ვაპირებდით, მაგრამ, ამგვარ ყოფაში რომ დავინახეთ, თავი დავანებეთ: — რა იცი, რა ბოლმა აწევს კაცს გულზე, იქნებ ვინმე ახლობელი მოუკვდა იმ მიტინგზე. აღარაფერი გვითქვამს, ავკრიფეთ დომინო და გავაგრძელეთ თამაში.

მაგრამ ერთხელ რომ გავუჩუმდით, გათამამდა, ეტყობა. ზუსტად ერთი თვის თავზე ისევ ის საქციელი გაიმეორა: 9 მაისი იყო. ჩვენ ყველა დღესასწაულს აღვნიშნავთ ხოლმე. ვიჯექით ფაცხაში და ვსვამდით გამარჯვების სადღეგრძელოს. მოგვივარდა კიდევ, ჭიქები და ბოთლები მიგვიყარ-მოგვიყარა და თან გაიძახოდა:

— რა გაიმარჯვეთ, სად გაიმარჯვეთ, როდის გაიმარჯვეთო! ჯერ ორმოციც არ გასულა, და თქვენ კი აქ ზიხართ და ილხენთო!

ყველაფერს საზღვარი აქვს. გადავწყვიტეთ ახლა მაინც გვესწავლებინა ჭკუა. შესაფერ დროსლოდ ვუცდიდით. მაგრამ პირიქით კი მოხდა ყველაფერი.

ერთ მშვენიერ დღეს შემოვიდა ეზოში ეს ჩვენი მეზობელი და თან ერთი ყუთი შამპანური შემოიტანა. იქიდან თვითონ ამოალაგა ბოთლები, მაგიდაზე დაგვიწყო და სახეგაბრწყინებულმა გვითხრა:

— ბიჭებო, დალიეთ და დაილოცეთ, დღეს 26 მაისია და მომავალი თავისუფალი საქართველო აღდეგრძელეთო!

აქედანაც ხომ ჩანს, რომ ვერ არის ჩვენი მეზობელი მთლად დალაგებული: „მომავალი თავისუფალი საქართველოო", ეხლა რა, ვინმე იჭერს, თუ რა; ეხლა რატომ არ არის ვითომ თავისუფალი? რაღაცეებს კიდევ მიედ-მოედო, მაგრამ კაცმა ღვინო მოიტანა და დავას ხომ არ დაუწყებდით! დავჯექით და კარგად დავლიეთ. საქართველოც ვადღეგრძელეთ და ყველაფერიც, რასაც ვადღეგრძელებთ ხოლმე; სადღეგრძელო შეგვეშლება თუ რა? აღარც გაგვხსენებია, - იმაზე ალრენილი რომ ვიყავით. ბოლოსდაბოლოს, ყველა ჩვენი ჭკუის ხომ არ იქნება. ეგრე არ არის ნათქვამი, ყველა ოჯახში თითო მაზინჯი გამოერევაო?!

**მეზობლის საუბარი ჩაიწერა**
**ზურაბ ახკანელმა**



## მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

# იუგოსლავია

**წერილი მეექვსე**

ფეხბურთი იუგოსლავიაში სპორტის ყველაზე უფრო პოპულარული სახეობაა. თავის დროზე იგი ვითარდებოდა უნგრული, ავსტრიული და იტალიური ფეხბურთის გავლენით, მაგრამ თანდათან გამომუშავებული იქნა საკუთარი სტილი, რომელიც ემყარება მაღალ ტექნიკასა და იმპროვიზაციას. ამიტომაცაა, რომ იუგოსლავიელ ოსტატებს დიდად აფასებენ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში.

იუგოსლავიის ფეხბურთის კავშირი („ფუდბალსკი სავეზ იუგოსლავიე") 1919 წელს შეიქმნა. იმავე წელს იგი ფიფას წევრი გახდა, 1955 წელს — უეფას წევრიც. ამჟამად ქვეყანაში 14.700 კლუბია, დაახლოებით ნახევარ მილიონი რეგისტრირებული მოთამაშე, აქედან 450 პროფესიონალად ითვლება, 700 კი ნახევრადპროფესიონალად. ყველაზე ძლიერი ფეხბურთელები და მწვრთნელები, როგორც წესი საზღვარგარეთ მიდიან. გფრ-ში ადრე დიდი სახელი მოიპოვეს მწვრთნელებმა ზებეცმა და ჩაიკოვსკიმ. დღეს კი ბოჟკოვი გენუის „სამპდორიის" მწვრთნელია, რომელიც პირველხარისხოვან კლუბად აქცია. ბორა მილუტინოვიჩი კი სულ ახლახან კოსტარიკის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. ნაკრების დღევანდელ წევრთაგან უცხოეთში თამაშობდა მეკარე ივკოვიჩი (ლისაბონის „სპორტინგი"), ლიბერი ბაჟდარევიჩი (საფრანგეთის „სოშო"), მცველები: რადანოვიჩი (ლიეჟის „სტანდარდი"), იოჟიჩი (იტალიის „ჩეზენა", ბრნოვიჩი „მეცი"). ნახევარმცველები — კატანეცი (გენუის „სამპდორია"), ჰაჯიბეგიჩი („სოშო"), თავდამსხმელები ცვეტკოვიჩი (იტალიის „ასკოლი"), ზლ. ვუიოვიჩი და სუშიჩი (ორივე პარიზის „სენ-ჟერმენი") და სხვები.

იუგოსლავია მსოფლიოს 7 ჩემპიონატში მონაწილეობდა, უკანასკნელად — 1982 წელს. 1930 და 1962 წლებში იგი მეოთხე იყო, ბოლო 7 წლის მანძილზე იუგოსლავიელებს რაიმე მიღწევა არა ჰქონიათ, თუ არ ჩავთვლით ბრინჯაოს მედლებს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე (1984). იცვლებოდნენ მწვრთნელები, რომლებიც თავის მხრივ ფართო ექსპერიმენტს აწარმოებდნენ. ზოგი „აქცენტს იღებდა" უცხოეთში მოთამაშე ოსტატებზე, ზოგი პირიქით — მათზე უარს ამბობდა და იმედებს ახალგაზრდებზე ამყარებდა. ამასობაში ერთი მარცხი მეორეს მისდევდა. მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც ნაკრების მწვრთნელად წარსულში კარგად ცნობილი ოსტატი ივიცა ოსიმი დაინიშნა (48 წლისაა). თუ მისმა წინამორბედებმა ტოდორ ვესელინოვიჩმა და შემდეგ მილოშ მილუტინოვიჩმა კურსი ნაკრების გაახალგაზრდავებაზე აიღეს და საბოლოოდ სრული ფიასკო განიცადეს, ოსიმმა (მან ნაკრები 1988 წლის აგვისტოში ჩაიბარა) კარგი ურთიერთობა დაამყარა უცხოეთში მყოფ ვეტერანებთან. ამას იუგოსლავიის მთელ რიგ კლუბებში ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდების (პროსინეცკი, ბობანი, ბრნოვიჩი) დაწინაურებაც დაემატა.

რა შეიძლება ითქვას იტალიაში გამგზავრების ძირითად კანდიდატებზე? ახლა ძირითად მეკარედ 29 წლის ივკოვიჩი ითვლება, რომელმაც 8 შესარჩევი მატჩიდან შვიდში ითამაშა. პორტუგალიაში გადაბარგებამდე იგი კარგა ხანს ავსტრიის „ტიროლში" გამოდიოდა. მცველებს შორის გამოჰყოფენ ზორან ვუიოვიჩს, რომელიც კარგა ხანს საფრანგეთში ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ახლა „ცრვენა ზვეზდაში" გამოდის, ფიზიკურად მეტად მძლავრ, ჰკვიან კატანეცს, რომელმაც ადრე დიდი საბრძოლო გამოცდილება მიიღო ბუნდესლიგაში, ახლა კი ძალზე შესამჩნევი ფიგურაა იტალიის ჩემპიონატში. აგრეთვე ახალგაზრდა ბრნოვიჩს. ადრე დაცვაში დიდ როლს ასრულებდა ლიბერო ბაჟდარევიჩი, მაგრამ შესარჩევ მატჩში ნორვეგიელებთან „მსაჯზე თავდასხმის" გამო იგი ერთი წლით არის დისკვალიფიცირებული. იუგოსლავიელთა არაერთი თხოვნის მიუხედავად, ფიფამ ძალაში დასტოვა ეს გადაწყვეტილება და ბაჟდარევიჩმა მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გამოტოვოს.

შუა ხაზზე გამოსვლის არაერთი კანდიდატია, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა 24 წლის დრაგან სტოიკოვიჩი. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ესოდენ ნიჭიერი ფეხბურთელი იუგოსლავიაში კარგა ხანია არ დაწინაურებულა: 18 წლისას მას დებიუტი ჰქონდა პირველ ნაკრებში, შემდეგ ბრწყინვალედ ითამაშა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე. იტალიურმა „გაძეტა დელლო სპორტმა" იგი შარშან მსოფლიოში უძლიერეს მარჯვენა ნახევარმცველად მიიჩნია, ზაგრების „სპორტსკი ნოვოსტიმ" — იუგოსლავიის 1989 წლის № 1 ფეხბურთელად, პოპულარულმა „ფრანს ფუტბოლმა" შარშან ევროპის უძლიერეს ფეხბურთელებს შორის მეექვსე ადგილი მიაკუთვნა. სტოიკოვიჩი ჯერჯერობით ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში" თამაშობს, მაგრამ უკვე გააფორმა წინასწარი ხელშეკრულება (8 მილიონ დოლარად!) მარსელის უმდიდრეს „ოლიმპიკთან", სადაც მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე უნდა გადავიდეს. ოსიმმა ნაკრებში შეიყვანა „ახალი ტალღის" წარმომადგენლები მიიატოვიჩი (22 წლისაა), პროსინეცკი და ბობანი (20–20 წლისანი), რომლებიც 1987 წელს მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ ჭაბუკთა შორის. შესანიშნავად თამაშობს 23 წლის სავიჩევიჩიც. შუა ხაზზე ძალიან სასარგებლოდ მოქმედებს გამოცდილი ჰაჯიბეგიჩი.

ყველაზე რთული საკითხი, რომელიც ახლა დგას მწვრთნელის წინაშე, ეს თავდასხმის საკითხია. ითამაშებს თუ არა გამოჩენილი ოსტატი სუშიჩი, რომელსაც 35 წელი უნდა შეუსრულდეს? მეორე გამოცდილი თავდამსხმელი ზლატკო ვუიოვიჩი (მცველ ზორან ვუიოვიჩის ტყუპისცალი) 31 წლისაა და სუშიჩთან ერთად ერთ საკლუბო გუნდში თამაშობს.

აი, რას ფიქრობს ივიცა ოსიმი: „ჩვენს ჯგუფში ორი ძლიერი კონკურენტი გვყავს, გფრ-ისა და კოლუმბიის გუნდები. გერმანელებს ძალიან კარგად ვიცნობთ (მათთან იუგოსლავიელებმა 24 მატჩი ჩაატარეს — 8 მოიგეს, 3 ფრედ დაამთავრეს და 13 წააგეს). ცუდია, რომ პირველ შეხვედრას სწორედ მათთან ვატარებთ. კოლუმბიელებს ორჯერ შევხვდით და ორჯერვე დავამარცხეთ, არაბთა გაერთიანებული საამიროების გუნდთან არასოდეს გვითამაშია. ახლა ისეთი ნაკრები გვყავს, რომ მეორე წრეში გასვლა არ უნდა გაგვიჭირდეს და განსაკუთრებით ჩვენი ვეტერანების იმედი მაქვს..."

**გივი გამრეკელი**

# მომავლის გუნდი...



ოზურგეთში მთელი დღის განმავლობაში გადაუღებლივ წვიმდა, მაგრამ მატჩის დაწყების წინ ერთი საათით ადრე ამინდმა პირი იბრუნა და მზემაც გამოანათა. საუბარი კი იმ მატჩს ეხება, სადაც ერთმანეთს ოზურგეთის „მერცხალი" და წყალტუბოს „სამგურალი" ხვდებოდნენ. დიახ, ოზურგეთის გუნდს კვლავ მშობლიური სახელი დაუბრუნდა (გუნდის და გულშემატკივრების აზრი ამ საკითხში არ გაყოფილა), და წინდაწინ უნდა ითქვას, რომ მათ ეს შეხვედრა დიდი მონდომებით და დამაჯერებლად ჩაატარეს. აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის „მერცხლის" წლევანდელი საფეხბურთო სეზონიდან სათავეში უდგას ნიკა ამირეჯიბი, რომლის წარდგენაც ქართველი გულშემატკივარისათვის ვფიქრობთ საჭირო არ არის. ყველასათვის ცნობილია მისი მიღწევები ბავშვთა ფეხბურთში და ახლაც, ამ ახალ საფეხბურთო კოლექტივში ნაყოფიერად მუშაობს. ოზურგეთის „მერცხალი" საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდებიდან ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდის და არცთუ ურიგო შთაბეჭდილებას სტოვებს. როგორც გუნდის უფროსმა ბახვა გიორგაძემ აღნიშნა, „მერცხალი" მომავლის გუნდია და 1992 წლისათვის უკვე კონკრეტული მიზნებიც იქნება გადასაჭრელი.

ახლა კი უშუალოდ მატჩის შესახებ, რომელიც წყალტუბოელთა შეტევით დაიწყო და მათმა სახიფათო ფორვარდმა გოჩა ხარაბაძემ „მერცხლის" კარის დარაჯის ირაკლი ზოიძის საიმედოობა შეამოწმა, წინდაწინ უნდა ითქვას, რომ ეს წყალტუბოელთა პირველი და უკანასკნელი შეტევა იყო პირველ ტაიმში... „მერცხალის" საპასუხო შეტევა შაქრო კაშიას ძლიერი დარტყმით დამთავრდა, მაგრამ წყალტუბოელთა გამოცდილი მეკარე გოჩა მიქაძე ადგილზე დახვდა ბურთს. თუ კი ვინმე იმსახურებდა „სამგურალიდან" ქებას, ეს მათი მეკარე იყო, რომელმაც არაერთხელ გადაარჩინა გუნდი ბევრ უსიამოვნებას. მას ვერც „მერცხალის" მიერ გატანილ ორ გოლში დავადანაშაულებთ, რომლებიც პირველ ტაიმში გაიტანეს ომარ თეთრაძემ და სოსო ბარამიძემ. ეს ორი ფეხბურთელი ქმნიდა კიდევაც ამინდს ამ შეხვედრაში, რომელიც „მერცხალის" სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. ძალზედ აქტიურობდნენ გაწაპირა ნახევარმცველები, 19 წლის სოსო ბარამიძე და 18 წლის ბესიკ ამაშუკელი. ყველა შეტევის ორგანიზატორი კი 21 წლის ომარ თეთრაძე იყო, რომელიც ცენტრალური ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა და მეტად შრომატევადი სამუშაო შეასრულა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი წყალტუბოელთა მარჯვენა მცველმა ვალერი მუშკუდიანმა აშკარად უხეშად ითამაშა თეთრაძის წინააღმდეგ და ეს უკანასკნელი იძულებული იყო თამაში მიეტოვებინა. მის ნაცვლად ასევე ახალგაზრდა, 18 წლის ალეკო გელაძე შემოვიდა, რომელიც აქტიურად ჩაერთო თამაშში. მეორე ტაიმი მთლიანობაში სანახაობრივად უფრო ნაკლებად მიმზიდველი იყო, ვიდრე პირველი. წყალტუბოელებს რაიმე სერიოზული საფრთხე ირაკლი ზოიძის კართან არ შეუქმნიათ, მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მათმა აქტიურმა თავდამსხმელმა გოჩა ხარაბაძემ მატჩის მიწურულს პრესტიჟის გოლი გაიტანა. 2:1 — ასეთი იყო შეხვედრის საბოლოო ანგარიში, რომელსაც თბილისელ მსაჯთა ბრიგადა ემსახურებოდა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის მევლუდ მიმინოშვილის მეთაურობით. დასასრულ გაგაცნობთ მონაწილე გუნდების შემადგენლობებს და VII ტურის სხვა შეხვედრების ანგარიშებს:



**„მერცხალი"**: ზოიძე, ცერცვაძე, კაშია, მეავანაძე, კალატოზიშვილი (ბერიშვილი), ბარამიძე (ჩხაიძე), ამაშუკელი, ათუაშვილი, თეთრაძე (გელაძე), ნასუაშვილი, ჩიგოგიძე.

**„სამგურალი"**: მიქაძე, მუშკუდიანი, ქუხიანიძე (გოგელიძე), ბერაძე, ვ. ფესტვენიძე, ცნობილაძე (იონანიძე), ჰ. იობიძე (რ. იობიძე), კერესელიძე, ლ. ფესტვენიძე, ჩხაბერიძე, ხარაბაძე.

**„გორდა" — „დილა" 2:0;**
**„იბერია" — „შევარდენი — 1906" 2:0;**
**„გურია" — „ცხუმი" 3:0;**
**„ბათუმი" — „კოლხეთი" ხობი 3:0;**
**„კოლხეთი — 1913" ფოთი — „ლიახვი" 3:2;**
**„მზიური" — „ოდიში" 0:0;**
**„ივერია" — „ამირანი" 2:0;**
**„სანავარდო" — „ქუთაისი" 1:0.**

**გია ტუხაშვილი,**
**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.**

**ამირან გოგიტაურის ფოტო**

# 6 მაისი დიდმოწამე, ძლევამოსილი და საკვირველთმოქმედი წმიდა გიორგის ხსენების დღეა

წმინდა გიორგი მესამე საუკუნეში დაიბადა კაპადოკიაში, მდიდარ, ქრისტიანულ ოჯახში. ადრე დაქვრივებულმა დედამ იგი პალესტინაში წაიყვანა და იქ აღზარდა. გიორგი რომის ლაშქარში მსახურობდა და თავისი სიმამაცით მიიპყრო იმპერატორ დიოკლიტიანეს ყურადღება. მალე კი მისი პირადი მცველი და მხედართმთავარიც გახდა.

კერპთაყვანისმცემელმა იმპერატორმა ბრძოლა რომ გამოუცხადა ქრისტიანობას, წმინდა გიორგიმ თავისი ქონება გლახაკთ დაურიგა და სენატში დიოკლიტიანეს წინააღმდეგ გამოვიდა. იგი საპყრობილეში ჩააგდეს. მეორე დღეს კი აწამეს, მაგრამ უფლის წყალობით უვნებელი წამოდგა საწამებელი ბორბლიდან. იმპერატორის კარზე ამან დიდი განცვიფრება გამოიწვია და მალე სხვა დიდებულებმაც მიიღეს ქრისტიანობა.

იმპერატორმა ახლა სხვა საწამებელი გაუმზადა წმინდა გიორგის, მაგრამ ღმერთის წყალობით იგი კვლავ უვნებელი გადარჩა. შემდეგ კი უფალს შელაღადა, რომ ურწმუნოთათვის თავისი სასწაულებრივი ძალა ეჩვენებინა. მაშინ გაიხსნა საფლავი და იქიდან მკვდრეთით აღმდგარი ადამიანი ამოვიდა. ამან თვით მისი ჯალათებიც მოაქცია ქრისტეს სჯულზე, ხოლო როცა სიკვდილით დასასჯელად მიჰყავდათ, თავად დედოფალმაც აღიარა ქრისტიანობა და გვერდით დაუდგა წმინდა გიორგის.

წმინდა გიორგი სიკვდილით დასაჯეს 303 წლის 23 აპრილს (ძველი სტილით). მისი განსასვენებელია იერუსალიმის მახლობლად.



წმინდა გიორგის სასწაულთაგან ყველაზე უფრო ცნობილია მის მიერ გველეშაპის განგმირვა. საეკლესიო ხატებზეც იგი სწორედ ასეა გამოსახული — თეთრ ცხენზე ამხედრებული, შუბით გველეშაპის შემმუსვრელი.

საქართველოში წმინდა გიორგის მოსახსენებლად აღიარებულია მისი ბორბალზე წამების დღე (23 ნოემბერი ახალი სტილით) და მისი აღსრულების დღე — 6 მაისი (ძველი სტილით 23 აპრილი).

ვადიდებთ ძლევამოსილს, ბოროტის დამთრგუნველს, დიდმოწამეს და ქართველთა დიდ იმედს — წმინდა გიორგის და შევთხოვთ მას შემწეობასა და ჩვენი ერის მფარველობას.

## რედაქციისაგან:

**ჩვენი ცხოვრებიდან ერთი კურიოზული ფაქტის შესახებ ა. წ. 21 აპრილს გამოვაქვეყნეთ რეპლიკა — „კვალიფიკაცია აიმაღლა?!" და დოკუმენტი, რომელზეც დაბეჭდილია ვ. ოკუჯავას გვარი, რის გამო ხელმოწერაც მისეულად მივიჩნიეთ. ეს, როგორც გაირკვა, სიმართლეს არ შეესაბამება, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ ვაჟა ოკუჯავას.**

**რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.

უე 00255